# სახალხო გაზეთი

№ 368 ოთხშაბათი, 3 აგვისტო, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 368

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სახაზლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისავალი ეზოდან.

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## დ. ყვირილაში

„სორაპანის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე“. აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.



## „სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხელდრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.


კონსტანტინე, ალექსი, იოსები, ნინო და ევგენია ლაბაურნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ სამი დღის ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას—პირველი სამი —ერთად-ერთ საყვარელ დის, მეორე—შვილისა, ხოლო მეხუთე—მეულის

**ნინა ალექსის ასულის ლაბაურისას.**

გამოსვენება 4 მარიამობისთვეს, დილის 10 საათზე, მე-2 თუმანოვის ქუჩიდან, საკუთარი სახლი, № 34. პანაშვიდი დღეს, 12 საათ. წირვა და დაკრძალვა კუკ. წმ. ნინოს ეკლესიაში. (1—748—1)

ელენე ლავრენტის ასული და პავლე ივანეს ძე ქარუმიძენი გულ-დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელ პირმშო შვილის

**გ ი ვ ი ს**

გარდაცვალებას. (1—1)

გიორგი მეუღლითურთ მიტრო და მიშა ბაქრაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, უდროოდ გარდაცვალებას ჯაყვიწყარის დეიდაშვილის

**ვანო (ივანე) ზაქარიას მის გუნდიევისას.**

გამოსვენება დილის 9 საათზე, დიდ ვანქის ქუჩიდან (ვანქის ტუპიკი № 3) კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში, დაკრძალვა იმავე ეკლესიის სასაფლაოზე.


**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. (წ.—1147—106)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.**

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეს. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვ. და ელექ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

**დავითაშვილი რ. ს.**—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

**მამალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

**მუსხელიშვილი გ. ს.**—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ საათ., **დროებით წასულია.**

**მზარეულოვი მ. ი.**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—$1^1/_2$ ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

**მიქელაძე შ. ა.**—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე $12^1/_2$—1 ს.

**ორემბოვსკი ნ. ს.**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ხობთლევსკი გ. გ.** ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

**სულავოვი ა. ი.** სამშობიარო და ქალის 12—1 ს. **დროებით წასულია.**

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. **დროებით წასულია.**

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შემდგომი. სადასურით (წ.—1089—527)

ქუთაისში ყოველ დღიური ქართული გაზეთი

## „კ ო ლ ხ ი დ ა“

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი.

ხელის-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს, რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე 4 მან. და 10 შაური. პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე 4 მ., სამი თვით 2 მ. და ხუთი შაური, თვით 80 კ.

**საზღვარ-გარედ: წლიურად 12 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 7 მან., თვიურად ექვსი აბაზი. თითო ნომერი ერთი შაური.**

ადრესის გამოცვლა: ქუთაისისა ქუთაისზე—10 კაპ., დანარჩენ შემთხვევებში 40 კ. **განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე 10 კ. სამგლოვიარო განცხადება სამი მანეთი.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზეთ «კოლხიდა»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდინ, საღამ. 5-დან 7 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი ა. შუშაძე.

პეტერბურგელი **რუსული ცირკი**

ქ-ნ ე. გ. გუმაკოვის ამხ.

**მიხეილის ქუჩაზე, მუშტაიდის მახლობლად, ოთხშაბს, 3 აგვისტოს,** მთელის დასის მონაწილეობით **წარმოდგენა** სამს განყოფილებად.

დღეს ახლად ჩამოსულ არტისტების დებიუტია, დღეს იწყება **ფალავან-ქალთა** ფრანგული, რუსული, შვეიცარული და კავკასიური

**ჭიდაობა** სპორტსმენ **გ. ი. ბორისოვის** ხელმძღვანელობით. ჯილდოდ დანიშნულია ქ. ტფილისის საპატიო შარფი; ფალავნებში ჩაეწერა ჯერ ტფილისში ახლად ჩამოსული **10 მოჭიდავე ქალი. პირველ დღეს სამი წყება იჭიდავებს.** დაწვრილებში აფიშებსა და პროგრამებში. ჭიდაობა საღ. 10 ნახ. ს. დაიწყება, წარმოდგენა—**საღამ. 10 ნახ. ს.** ახალი ორკესტრი მაერის ლოტბარობით. (1.1124.1)

გამოვიდა და იყიდება

**ა. ჯორჯაძის თხზ. მე-2 წ.**

**„ჩვენი საზოგადოებრიობა“**

ფასი ოთხი აბაზი (ავტორის სურათით და წინასიტყვაობით).

**იყიდება აგრეთვე ამავე ავტორის თხზ. 1-ლი წ.**

**„ეროვნულ პრობლემის გარშემო“**

**ფასი 75 კაპ.** (10—5)

ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება და ცალკე წიგნად გამოვა

**გ. ახოსპირელის**

დრამატიული ზოემა

**შვენება და სიყვარული**

გამოცემა **მიხაკო ლოლიძისა.** (10—1403—9).

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

**ე. ს. გაშაკიძე**—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

**ბ. ა. პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

**ვ. ს. ხტანიშევსკი**—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.

**შ. ა. მიქელაძე**—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი** — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**გ. გ. ხობთლევსკი**—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606“-ით.**

(წო. —1090—125)

## ექიმი პ. არდაზიანი

შინაგანი და ბავშვების სნეულება, დილის 8—11 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე., კვირაობით დილის 9—12 ს.-მდე. ალექსანდრეს ქ. № 3. (თ.—1389—16)

ელექტრონისა და რენტგენის

**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**

## მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—76)

## ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე.

## ექიმი გ. მ. ლოლობერიძე.

შინაგანი და ქალთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს ყოველდღე, დილით 9—11 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კიროჩნი ქუჩა, სახლი სვიმონიძისა № 16. (თ.—1426—2)

**ა ბ ა ს თ უ მ ა ნ შ ი**

**კბილის ექიმი**

## ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა“ ტერმარქაროვისა. (თ.—1333—41)

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 12 ი—1105

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი გაბაშვილისა. ე)

## სურამში

**კბილის ექიმი**

## ნინო რცხილაძე

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

## ექიმი გ. მუსხელიშვილი

სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარედ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

Geh. Sanitätsrat Dr. Yarrentropp, მაინის ფრანკფურტში სწერს: ტანში გასახსნელ მარილთა აუარებლობა, რომელიც „ფრანც იოსების“ ბუნებრივ მწარე წყალში მოიპოვება, შეიძლება ყოველთვის ურჩიეთ იქ, სადაც საჭიროა, რომ კუჭში მეტად მცირე წყალი ჩაუშვათ. M. 181574. (1.1428.1)


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

დეკანოზ ვოსტორგოვის ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. ამის წინად ხომ მოსკოვში სამსახურიდან გადააყენეს, ახლა კიდევ სინოდს პრინციპიალურად გადაუწყვეტია ვოსტორგოვის მიერ დაარსებული კურსებიც მოსპოს, რადგანაც მავნებლად უცვნია. ამის შესახებ „რუსკოე სლოვო“ სწერს:

„სინოდის ასეთი გადაწყვეტილება ძლიერ სასიამოვნოა. ეს კურსები, როგორც სინამდვილემ დაამტკიცა, თურმე სრულიად უვიც და ნაკლები ზნეობის მღვდლებს ამზადებდა—ციმბირის გასანათლებლად. ციმბირს არ უნდა სჭირდებოდეს ასეთი მოძღვრები!

... პირველ წელს კურსებზე რაღაცნაირად, სხვათა შორის, ერთი უვიცი მგალობელი და მღებარი მოხვედრილა, რომელთაც სადღაც უშოვნიათ სამასწავლებლო მოწმობა. ოთხი თვის სწავლების შემდეგ ასეთი „კურსელები“ მღვდლების ანაფორაში ენახათ. ნაცნობები თავიანთ თვალს არ უჯერებდნენ, მაგრამ... მამა ვოსტორგოვისათვის ყველაფერი შესაძლებელი იყო....

ახლა „კურსელებმა“,—უკვე მღვდლებმა, ციმბირში თავიც ისახელეს. სასულიერო საქმეებს ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ, სამაგიეროდ ვაჭრობის ნიჭი გამოიჩინეს... ყოვლად შემძლებელი ვოსტორგოვი თავის კურსელებს სასულიერო თანამდებობაზე შიგ მოსკოვშიაც კი აწესებდა. ეს გულისწყრომას იწვევდა სამღვდელოებაში მაგრამ, ვინ რას გააწყობდა.

პირველ წელს 106 მღვდელი დაამზადა კურსებმა და მეორე წელს კიდევ —150.

საქმე ის არის, რომ დეკანოზი ვოსტორგოვი საქართველოს ხალხსაც და სამღვდელოებას ამნაირადვე ანათლებდა, მაგრამ დიდი პატივი და დიდი ადგილიც დაიმსახურა...

* *

ბერმონაზონი ილიოდორე განაგრძობს თავის მსვლელობას და რაც დრო გადის მით უფრო და უფრო ირკვევა ამ „მსვლელობის“ ხასიათი. საროვის უდაბნოსაკენ მიმავალი ილიოდორე ყოველ ქალაქში სიტყვას ამბობდა „მტერთა“ გულის გასაგმირს და ვინც ერთი ვერსიდან-ვე ქუდს არ მოიგლეჯდა მისი რაზმის წინაშე, ემუქრებოდა: „ფრთხილად იყავით, თორემ ქუდს თავიანად მოგხდით“-ო. ახლა იგი ამ სიტყვების განხორციელებასაც შესდგომია, როგორც „უტრო როსიის“ (174 ნომერი) იუწყება:

...„სარატოველები ელოდნენ თვით ნაცად რბევას. სადაც კი ილიოდორეს რაზმი გაივლიდა, საჩქაროზე ჰკეტავდნენ მაღაზიებს და სახლებს, მაგრამ მოსეირნეები მაინც ვერ აღწევდნენ თავს: იმათ გამოათრევდნენ ხოლმე ქუჩაში და სცემდნენ. მსვლელობის დროს ყველასა სცემდნენ. უმთავრესი პუნქტი რბევისა და ცემისა ილიოდორეს თაყვანისმცემელთა ბინის უბანში იყო, ქალაქის შუაგულში, ტაძრის ახლოს, ალექსანდრე II ძეგლთან, საგუბერნიო უწყების პირდაპირ. აქვეა ილიოდორეს სულიერი ხელმძღვანელის არქიელ გერმოგენის ბინა და აქ სხვათა შორის სცემეს და შემდეგ მაზუთით შეთხუპნეს „სარატოვსკი ვესტნიკის“ თანამშრომელი მიროსლავოვი.... ის მოკრძალება სარატოვის პოლიციის მხრით, რომელსაც იჩენენ ილიოდორეს რაზმის მიმართ და ცარიცინის სასულიერო წოდების სტენკა რაზინის მიმართ და დახმარება „ილიოდორეს მტერთა წინააღმდეგ“ ვინ იცის, ეგებ კეთილი გამოდგეს—სარატოვის გუბერნატორი სტრემოუხოვის კარიერისათვის, რა თქმა უნდა, თუ თავის მოადგილის გრ. ტატიშჩევივით თავი არ მოაბეზრა პეტერბურგს ამ „სათნო ბერზე“ საჩივრებით.

სწორედ მაშინ, როდესაც პეტერბურგის რეაქციონული პრესა რაღაც სასწაულს ელის, როდესაც მილიონ „პოტენების ძალა“ დაიძვრის მარსის მოედნისაკენ და ხოდინკისაკენ, იქ, სამხრეთ რუსეთში „ვოლგის ნაპირებზე“ ამოძრავდა მეორე თავდაუჭერელი ძალა, რომელსაც თან მოაქვს რბევა და აწიოკება. ეს ხდება სწორედ იქ, სადაც ჯერ კიდევ ცხოველია ხსოვნა „ხალხის მოამაგე ყოჩაღ სტენკა რაზინისა“ და კაზაკ ემელკას გმირისა და მის „პუგაჩევისა“. ძალაუნებურად იბადება აზრი, რომ ვიღაცას მოჰსურვებია ხალხის საშიში მუდამ მფეთქავი „ძალა“ აუშვას. არავინ კი არ უფიქრდება, რა ხასიათი შეიძლება მიიღოს ილიოდორეს „მსვლელობამ“, თუ მას ასე თავისუფლად თარეშის ნება ექნება“...

რა თქმა უნდა ყოველ მოვლენას ორი მხარე აქვს, რომელთაც დრო თავისებურად მოიხმარს. ღამე დღეს სცვლის და დღე ღამეს...

## ახალი ამბავი

### ტფილისი

◆ **ნამესტნიკის საბჭოს** კრება 3 აგვისტოს მოჰხდება. განსახილველია 12 საქმე.

◆ **ს. ზ. მირზოევი**, ინგლისურ ფირმის წარმომადგენელი, ამ დღეებში ბათომს მიემგზავრება, სადაც ქალაქის თვითმმართველობას წინადადებას მისცემს ბათომში მუნიციპალურ შენობების აგების შესახებ. ასეთსავე წინადადებას ბ-ნი მირზოევი ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობასაც მისცემს. ფირმა მუნიციპალურ შენობების აგებას კისრულობს იმ პირობით, რომ თვითმმართველობებმა ეს შენობები 30 წლის განმავლობაში გამოისყიდოს.

◆ **ხმოსანთა არჩევნები.** ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ამომრჩეველთა სიის შემმოწმებელმა კომისიამ უკვე შეამოწმა ქალაქის მესამე და მეოთხე საარჩევნო უბნის ცენზიან ამომრჩეველთა სია. ამ ჟამად ქალაქის გამგეობიში გამოკიდულია სიები პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე საარჩევნო უბნების ამომრჩევლებისა. დანარჩენ სამ უბნის ამომრჩეველთა სიის შემოწმება ამ დღეებში დასრულდება.

◆ **ბალნეოლოგიურ სადგურის** თაობაზე მოლაპარაკება ქალაქის გამგეობისა და ინგლისელ ფირმის შორის, კიდევ სწარმოებს. მოკლე ხანში მოსალოდნელია სრული შეთანხმება უმთავრეს მუხლებში. სადგურის მოწყობა, როგორც ვწერდით, მადათოვის კუნძულზეა გაზრახული.

### სასამართლო

◆ **სასიკვდილო განაჩენი.** 28 ივლისს კავკასიის სამხედრო სასამართლომ გორის მაზრის სოფელ ბერშუეთის მცხოვრებლების ივანე ქრისტესიაშვილისა და ილია წიკლაურის საქმე გაარჩია. ბრალდებოდათ ყაჩაღობა. სასამართლომ ორთავეს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

### რკინის გზაზე

◆ **სად. ხაშური.** დეპოს უფროსმა მუშა ლავრენტი ჭედიძემ, მუშაობის დროს ფეხი მძიმედ დაიშავა.

◆ **სად. შალდიდი.** სადგურიდან შვიდი ვერსის მანძილზე, უცნობმა მგზავრმა გაქანებულ მატარებელზე მთინდომა შეხტომა, ფეხი დაუსხლტა, ვაგონის ქვეშ მოჰყვა და მატარებელმა გასრისა. ცხედრის გამოსაკვლევად რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ **სად. შახმახტი** (ყარსის გზა). 30 ივლისს სად. ნორაშენსა და შახმახტს შუა საქონლის მატარებელმა (№ 95) დაინდგზე მძინარე ორ მუშას გადაუარა. ერთი მათგანი, ექვთიმე მირზოიანცი, შუაზე გასწყვიტა, მეორე გი—ბაბა სარქისიანცი—მძიმედ დაამახინჯა. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ **სადგური შორაპანი.** 30 ივლისს დილით, 49 ვერსზე რკინის გზის ხიდზე იპოვეს გონება მიხდილი მუშა პლატონ ბოხოსიძე. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

### სომხითა ცხოვრება

✦ 31 ივლისს, გარდახდილ იქმნა, წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სომხის მწერლის და პედაგოგის ყაზაროს ალაიანის სულის მოსახსენებლად. რადგანაც საქმის თაოსანთ თავის დროზე არ აცნობეს ნაცნობთა და საზოგადოებას, (განცხადებები ადგილობრივ გაზეთებში სრულიად არ ყოფილა), ამიტომ პანაშვიდს ძლიერ ცოტა ხალხი დაესწრო.

### ბათომი

✦ როგორც გვატყობინებენ, ბახმაროსა და ოზურგეთს შუა ფოსტა დადის. ფოსტას მიაქ-მოაქვს წერილები, გაზეთები და სხვა. საუბედუროდ, ვერ ყოფილა ფოსტის საქმე სასურველ ნიადაგზე მოწყობილი, რადგანაც თურმე ხშირად ხდება რომ სხვას—სხვისი წერილი მიაქვს, ხსნის და გებულობს შინაარს. საჭიროა ამას ფოსტის გამგემ ყურადღება მიაქციოს და თავისი მოვალეობა ღირსეულად აასრულოს.

### პროვინცია

✦ ვარიანი (გორის მაზრა). აქაურმა გლეხებმა ამ მოკლე ხანში მე მამულის ალელოვისაგან უზარმაზარი მამული შეიძინეს.

✦ დ. ხაშური. პოლიციელებმა ქუჩაში სიექვო უცნობი შეიპყრეს და საპოლიციო სამმართველოში მიიყვანეს. აქ შემთხვევით მყოფმა ნიკოლოზ მიგრიაულმა უცნობში მძარცველი იცნო, რომელსაც იგი მარტის შუა რიცხვებში გაუძარცვავს. ტფილისის ახლო წმ. ანტონის მონასტრისაკენ მიმავალ გზაზე წაურთამევია მისთვის 85 მან. და მრავალი ვერცხლის ნივთი. ცნობების შეკრების შემდეგ გამოირკვა, რომ უცნობი ცნობილი ყაჩაღი „სურამელი" ყოფილა.

✦ აგარ. ბაკურიანი. ახლაქალაქში გორიდან ეტლით ვაჭარი არშაკირ დიათიანცი მიემგზავრებოდა. სად. ბაკურიანიდან 5 ვერსის მანძილზე მას წინ გადუდგა ბერდანებით შეიარაღებული ოთხი მძარცველი, გადმოსვეს ეტლიდან, წაართვეს 145 მანეთი ფულად, 150 მან. ღირსებული ოქროს საათი და მიიმალნენ. დიათიანცის სიტყვით, ერთი მძარცველთაგანი თათარია, ორი სომეხი და ერთიც—ოსი.

✦ სოფ. ზემო მიტარდი (ბორჩალოს მაზრა). სოფ. თელოვნიდან მიდიოდა ბორჯომს ვაჭარი ივანე ბჩუცევი, მას დახვდა სამი შეიარაღებული უცნობი და ტყეში შეიყვანა. წაართვეს 115 მანეთი და 60 კ. ფულად და 200 მანეთის ფართალი, პოლიციის ცნობებით, ეს ის ყაჩაღებია, რომელთაც 28 ივლისს ცხრაწყაროსთან სომეხი ვაჭრები გაძარცვეს.

✦ სოფ. ხერხელაური (თიანეთის მაზრა). სოფ. ჯაბანიანერში მიმავალ ისაკ მჭედლიძეს ვიღაც უცნობი დაუხვდა და 18 მანეთი წაართვა.

## მცირე განმარტება

(წერილი რედ. მიმართ).

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ამ პატარა ბარათს ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში.

გაზ. „თემის" № 29 მოთავსებული იყო მოლაპარაკება ჩემთან სხვა და სხვა საგანზე. სხვათა შორის მკითხეს, რა აზრისა ვარ ჩვენ ეხლანდელ მდგომარეობაზე, ვატყობ რასმეს წინსვლას და უკეთესობას ეხლანდელ ცხოვრებაში და აზროვნებაში? ნე ვუპასუხე: ზოგიერთი ისეთი მოვლენაა ეხლა, რომელიც ადრე არ იყო მეთქი,— როგორც ქართულ სიძველეთა შეკრება, მათი ღირსეულად დაფასება და ჩვენი წარსულის შესწავლა. მაგალითად მოვიყვანე ჩემი სტუდენტობის დროიდგან ძველი ქართული წიგნების გაყიდვის საქმე. ბ. ე. იოსელიანს („მცირე შენიშვნა", „სახ. გაზეთი", № 364), როგორც ეტყობა, ეჭვი შეაქვს ამ მოთხრობის სიხამდვილეში. 1867-1868 წლებში (ზაფხულამდე), როდესაც ეს ამბავი მოხდა, ჯერ ბ-ნი იოსელიანი, როგორც ამ დღეებში თითონ პირადად მითხრა, პეტერბურგში სტუდენტად მოსული არ იყო, მაშასადამე, მხოლოდ სხვის ნათქვამსა და გაგონილს გადმოგვცემს ამის თაობაზე.

აი მოკლედ საქმე როგორ იყო:

1867—1868 წ.წ. (ზაფხულამდე, შემდეგ საზღვარ-გარედ წაველ) მე სტუდენტობას ხაზინადრად ვიყავი და ნიკოლოოზ დიმიტრის ძე ყიფიანი ჩემი თანაშემწე იყო; რაც სტუდენტობის შემოსავალ-გასავალს შეეხებოდა, მე და ნ. ყიფიანმა დაახლოვებით ვიცოდით ესა, მაშასადამე, ქართულ წიგნების გაყიდვის საქმეც, რადგან ეს ფული კასსაში უნდა შემოსულიყო და კასსის სახელით დახარჯულიყო იმაზე, რაზედაც სტუდენტების კრება გადასწყვეტდა. კარგა ხნის მოლაპარაკების შემდეგ, სტუდენტობამ ამ ძველ წიგნების გაყიდვა დიდის ხმის უმეტესობით გადასწყვიტა. შემდეგ შევიკრიბენით მოსალაპარაკებლად, თუ რა ფასად უნდა გაგვეყიდნა ეს წიგნები. კრებაში განაცხადეს, რომ ბრიტანიის ბიბლიის საზოგადოება იმდენ ფასს არ იძლევა, რამდენსაც ჩვენა ვთხოვთო (მგონია, 400 მან.). მაშინ წამოდგა ნ. დ. ყიფიანი და რიხით სთქვა: „არამც თუ 400 მან. ან 200 მან. უნდა დაუთმოთ, არამედ მუქთადაც უნდა გადავცეთ ამ საზოგადოებას, ან პირდაპირ ნევაში გადავყაროთ ეს ძველი ნაგავი, რადგანაც იგი ჩვენის ახალგაზდობის განვითარებას შეაფერხებსო".

კრების უმეტესობას კი ჰსურდა გაეყიდნა ეს წიგნები და ამ ფულით შეეძინა იმ დროის ახალი წიგნები: დარვინისა, ბოკლისა, მოლეშოტისა, ბიუხნერისა და სხვანი. („ინტერვიუს") დროს ჩემთან არც სახელი და არც თხზულება ლავროვისა არ იყო ნახსენები).

აქ დროს წამოდგა მომცრო ტანის, გამხდარი და უფერული ყმაწვილი კაცი, იმის წინად ციხიდან გამოშვებული,—ეს იყო ვარლამ ჩერქეზიშვილი, და დაახლოვებით ესა სთქვა: „ბატონებო, ეს წიგნები არც მინახავს, არც წამიკითხავს და, ალბად, ვერასოდეს ვერ წავიკითხავ, მაგრამ მათი გასყიდვის წინააღმდეგი კი ვარ. საამისოდ არც ზნეობრივი, არც იურიდიული უფლება არა გვაქვს. ეს წიგნები საერთოდ ქართველ სტუდენტობას აჩუქეს გამოსაყენებლად (სახმარად), მათი გამყიდველი კი შემომწირველის სურვილს არღვევს. ამას გარდა, ეს წიგნები, მთელი ჩვენი ერის კუთვნილებაა, და ჩვენ, სტუდენტობას, მისი წართმევის უფლება არა გვაქვს (მუზეუმს). აი, მაგალითად, ჩეხებმა ამ 50 წლის წინად ერთი ძველი სახარება იპოვნეს, რომელიც მთელს ეროვნულ საგანძურს საფუძვლად დაედო. შესაძლოა, ამ ძველმა წიგნებმაც ასეთივე სამსახური გაუწიონ ჩვენს ერსა და კულტურას. სტუდენტთა ბიბლიოთეკისთვის კი ახალ წიგნების რამდენიმე ცალის შეძენა ამ ძველ წიგნების გაუყიდავადაც შეიძლება".

ვ. ჩერქეზიშვილის ამ მოულოდნელმა სიტყვებმა ყველა დააფიქრა და გააკვირა. ამ სამიოდე წლის წინად ვ. ჩერქეზიშვილი მოვიდა პეტერბურგში, 14 იანვარს, წმ. ნინოს დღესასწაულზე ქართულ წირვასაც დაესწრო თავის ცოლით; სტუდენტობის შემდეგ მე ის არ მენახა, და, სხვათა შორის, მოვაგონე ეს ამბავი წარსულიდან, და ვუთხარი: თუმცა ანარქისტობ და ბაკუნინის აზრები იმთავითვე მოგწონდა-მეთქი, მაგრამ აქამდინ უცხოეთშიაც ისევ ისეთი ქართველი-პატრიოტი დარჩენილხარ, როგორც იყავი სტუდენტობაში-მეთქი. იმან მიპასუხა —საფლავამდინ ასე დავრჩებიო. „ახალგაზდობის განვითარების შეფერხება" ამ ქართულ წიგნებს არ შეეძლოთ, რადგან ისინი დაკეტილ ყუთებში ეწყო და კირილე ბეჟანის ძის ლორთქიფანიძის სადგომში იყო მოთავსებული; ეს ამბავი კირილესაც კარგად ეხსომება.

კარგმა ხნმა გაიარა და 1879 წელს ქუთაისში ვიყავი. იქ ერთხელ ბესარიონ ღოღობერიძემ სადილი გაგვიმართა და სხვათა შორის ნ. დ. ყიფიანიც მოწვეული იყო. შევხვდით ერთმანეთს როგორც ძველი ამხანაგები და მეგობრები. სადილზე, ყველას თანადასწრებით, ნიკოს ვუთხარი, რომ დიდად მასიამოვნა იმისმა წერილებმა ქართულ გაზეთებში შაჰ-აბაზის დროს სპარსეთში გადასახლებულ ქართველებზე, რომელთაც სამშობლო ენაც შეუნახავთ და ზოგი ქართული ქრისტიანული ადათი, ჩვეულება, აგრეთვე სხვა სიძველენიც, და ვკითხე: „ნიკო, გახსოვს, სტუდენტობაში რომ ძველი ქართული წიგნები ნევაში უნდა გადაგეყარა-მეთქი? „როგორ არ მახსოვსო, მიპასუხა, წარმოიდგინე, როდესაც ქართულ სიძველეზე მაშინდელს ჩემს აზრს გავიხსენებ, სირცხვილით ვწითლდებიო".

რასაკვირველია, დიდის ზნეობრივის კმაყოფილებით მოვისმინე ეს სიტყვები. დარწმუნებული ვიყავი, რომ დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის შვილი ბოლოსა და ბოლოს არ უმტყუნებდა თავის მამის რწმენასა და მცნებას.

ბ. ი. იოსელიანი სამდურავს აცხადებს, ეს „ინტერვიუ" არეულათ არის მოთხრობილიო. ვინც ცოტათ მაინც იცის, როგორ და რა გარემოებაში იმყოფება „ინტერვიუ" საზოგადოდ და მეტადრე ბოლოს დროს ჩვენ შინაურ საქმეებზე, იმას არ უნდა უკვირდეს, თუ ეს „ინტერვიუც" სრულებით დალაგებით და შეკავშირებით არ არის მოთხრობილი, ნათქვამია: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო".

პროფ. ალ. ცაგარელი.

## აკაკის ნადიმი თელავში

ჩვენი სასიქადულო პოეტს აკაკი წერეთელს თელავში მობრძანებისათანავე, აქაურმა საზოგადოებამ გადასწყვიტა ნადიმით გამასპინძლებოდა ძვირფას სტუმარს, მაგრამ მგოსანმა არ მიიღო, ვაი თუ საზოგადოება შეწუხდეს და ჩემთვის ის უფრო სასიამოვნო იქნება სადილზე დახარჯული წვლილი საეთნოგრაფიო საზოგადოებას ზეპირ სიტყვაობის გამოცემათა თანხას მიემატოსო.

ასეთი იყო მხცოვანი აკაკის სურვილი, მაგრამ კახეთის სტუმართმოყვარეობა ნებას არ აძლევდა ქართველ საზოგადოებას ისე წასულიყო ასეთი საყვარელი სტუმარი, რომ პურ-მარილით არ გამასპინძლებოდნენ.

ამისათვის ილიას სალამოზე, ქართველმა საზოგადოებამ კიდევ სთხოვა აკაკის მიეღო სადილი და ისიც დასთანხმდა.

მეორე დღეს ათას-წლოვან ჭანდრის ქვეშ, რომელიც უტყვი მოწამეა ჩვენი ბედნიერების და უბედურებისა, გაიმართა ნადიმი, რომელსაც ას სულამდე დაესწრო.

3 საათზე საგანგებო დეპუტაციამ მოიყვანა ძვირფასი სტუმარი.

სადილზე პირველი სადღეგრძელო ეკუთვნოდა მხცოვან აკაკის.

სადღეგრძელოს საპასუხოდ მგოსანმა აკაკი წერეთელმა სთქვა: „ბატონებო! მე რომ დარწმუნებული არ ვიყო ადამიანის არარაობაზე საზოგადოდ და კერძოდ ჩემზე, ჩემი თავი თქვენს ხელში რაღაც მეგონებოდა!..

მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ ვიცნობ ჩემ თავს და თქვენი გრძნობის უხვებაც გათვალისწინებული მაქვს და აღარ ვტყუვდები...

განსვენებულმა გრიგოლ ორბელიანმა, ქართველებს რომ ახასიათებდა, სთქვა: „ერი გულადი, პურადი, მტერთა მიმცემი რისხვისაო"!

ეს უკანასკნელი სიტყვები გადავდოთ, დღეს დრო და ჟამი ხელს არ გვიწყობს, რომ გავამართლოთ!.. მაგრამ „გულადობა" და „პურადობა" კიდევ გვაქვს შერჩენილი. გულადობას ვამტკიცებთ მითი, რომ დღეს, ამისთანა უკუღმართ დროში, ჯერ კიდევ გული არ გაგვტეხია და სასიცოცხლოდ ვვართხალობთ!... და „პურადობას"-კი დღევანდელი ნადიმი გვიმტკიცებს.

მაშ თუ ასეა, რატომ ვერ ვახერხებთ, რომ დღევანდელ მოთხოვნილებას პასუხი გავცეთ. ამის მიზეზი სულ სხვა არის: ქართველი ჭირშიაც და ლხინშიაც პირდაპირობას არის ნაჩვევი, ტყვილად კი არ ამბობს ალექსანდრე ჭავჭავაძე: „ან მოჰკლავს, ან შეაკვდებაო!" დიაღ, ასეთ პირობაში არის ნაჩვევი და ვეღარ ახერხებს დღევანდელ მოთხოვნილებას პასუხი გასცეს. ვეღარ ახერხებს, მაგრამ თანაგრძნობით-კი მოელის მოპასუხს. ამას წუხანდელი „ილიას სალამო" და დღევანდელი ნადიმი ამტკიცებს. თქვენ გადაჭარბებულ სიყვარულს წარმოუდგენივართ ჩვენ გმირებად—მე ჩემ თავისას მოგახსენებთ—მაშინ როდესაც ჩვენ მხოლოდ ოხრდილი ვართ. დიაღ ჩვენ ვართ მხოლოდ „წინამორბედი", ძალიან სუსტი წინამორბედი, და მახარობელი მათი... შემიძლიან გიმახარობლოთ, რომ ის გმირი მოგევლინებათ. ამ შავ დღეში, როგორც ახალ-გაზდა ქალებში, ისე ახალგაზდა კაცებშიაც, მე ვხედავ ნიშნებს. ის ნიადაგი, ის ხალხი, რომელმაც წარმოშობა: ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, დიდი მოურავი, მთაწმინდელები, პეტრიწი, რუსთაველი და სხვები, ისტორიული გმირები, კიდევ წარმოშობს იმისთანა გმირებს, რომელსაც თქვენ მოელით. სვიმონ მოხუცებულმა, რომ ქვეყნის მხსნელი მიირქვა, წარმოსთქვა: „აწ განუტევე მონა შენი" და განისვენა. მე ვეღარ მოვესწრები იმ მომავალ გმირის მირქმას, მაგრამ გულში იმედით-კი ჩავალ საფლავში და ჩემი უკანასკნელი სიმღერა იქნება: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს" მეთქი. და ეხლა-კი ამ უზომო თანაგრძნობისათვის გულითად მადლობას გწირავთ ბატონებო, იმ გმირის სახელით, რომელსაც თქვენ მოელით".

სიტყვის გათავებისას აქვითინდა მგოსანი და მადლიან სახეზე ცრემლები გადმოსცვივდა.

გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა თავ.-აზნაურობის წინამძღოლმა თავ. მ. ზ. ჭავჭავაძემ და მით დააბოლოვა, რომ მაცხოვარი არა სჯეროდა ხალხს, ვიდრე თვითონ არ გამოეცხადა. ისე ჩვენც ბევრი რამე გაგვეგო, რომ თქვენ იყავით ქართულ ლიტერატურის ბუმბერაზი, მაგრამ ხალხმა არ იცოდა ვინ იყო ის კაცი, რომელსაც აკაკი ერქვა და აი დღეს, თქვენი ჩვენთან მობძანებით ამბობს, მე ისა ვარ, ვისიც ბევრი გსმენიათ და თქვენ შორის ვიმყოფებიო".

საყურადღებო სიტყვები წარმოსთქვეს წ. კ. თელ. განყ. გამ. თავმ. ვ. ვ. კახიძემ, მსაჯიობმა შ. დადიანმა, ნ. მამინაიშვილმა, ნიკოლოზ მთვარელიშვილმა და სხვ.

ნადიმი საღამომდე [illegible] ნადიმის შემდეგ სტუმარი „[illegible]" დავიწყებული.

## პატარა ფელეტონი

ახალი „ქალ-ვაჟიანი".

იყო ერთი მეფე. ჰყავდა ერთი მზეთუნახავი ქალი. ვინც წლით იზრდებოდა, ის წუთობით. ფრიად განსწავლული და ბრძენი რამ გამოვიდა. ჰასაკს რომ მიაღწია, მამამ გათხოვება დაუპირა. ქალმა სთქვა: ვინც ჭკუით, სიბრძნითა და ცოდნით მაჯობებს, იმას მივთხოვდებიო.

დღე ერთი იყო და მთხოვნელი ათასი. მეფის სასახლის გარშემო მარგილებზე ჩამოცმული სასიძოთა თავები მოსჩანდა: ვინც ქალის კითხვას ვერ უპასუხებდა, თავს მოჰკვეთდნენ ხოლმე.

ერთხელ ერთი გამოჩენილი მეფის შვილი გამოცხადდა. ქალმა მოუხმო მამას, ნაზირ-ვეზირებს. ვაჟს ოქროს სკამი დაუდგეს და დასვეს.

**ქალმა ჰკითხა:** შენ ვინა ხარო?

**ვაჟმა მიუგო:** მე ისა ვარ, ვისაც შენ უცქერიო.

**ქალმა ჰკითხა:** საიდანა ხარო?

**ვაჟმა მიუგო:** საიდანაც შენაო.

**ქალმა ჰკითხა:** რას დაეძებო?

**ვაჟმა მიუგო:** ჩემს თავს ვეძებ და შენი პოვნა მინდაო.

**ქალმა უთხრა.** შენს თავს გალავანის მარგილზე იპოვნიო.

**ვაჟმა უპასუხა**—ნება ღვთისა აღსრულდესო.

**ქალმა უთხრ.** ეს ყმაწვილური სიტყვა გავუშვათ და სიბრძნე ვილაპარაკოთო.

**ვაჟ.** ბრძანეთ და მოგისმენთო.

**ქალმა ჰკით.** ის რა სულიერი იყო, რომ „გოჭად" დაიბადა და „ლომად" იქცაო?

**ვაჟ.** ეგ „კოლხიდის" „სამშაბათეულა" იყო, „გოჭი" იყო და „ლომად" იქცაო.

**ქალ.** ის ვინ იყო, რომ სიჭაბუკეში ტვინსა სჭამდა, დავაჟკაცებისას—ქალალდს, შუახნობას—ქალაქს, სიბერის დროს კი ღვინოს მიატანაო?

**ვაჟ.** ეგ ნ. ნიკოლაძე იყო, სიყმაწვილეში მეცნიერებას ეწაფებოდა, დავაჟკაცებისას მწერლობდა, შუახნობისას მოურაობდა, სიბერის დროს კი ღვინის სარდაფსა ჰხსნისო.

**ქალ.** ის რომელი დამშეული იყო, კერძი წინ ედგა, თითონ ვერა სჭამდა და სხვებს ეპატიჟებოდა, მიირთვით, ეგების მეც გავძღეო?

**ვაჟ.** ეგ ტფ. დეპუტატთა საკრებულო იყო, ოცი ათასი მანეთი შესაქმელად წინ ედო, შნო არა ჰქონდა და გადამთიელებს ეპატიჟებოდა, მობრძანდით, საზოგადო ფლავი მიირთვითო.

**ქალ.** ის რომელი თვალთმაქცი იყო, რომ ცოცხლებსა ჰხოცავდა, მკვდრებს აცოცხლებდაო?

**ვაჟ.** ეგ ტფილისის ქალაქის გამგეობა იყო, ორი კაპეიკის შეტანლობისათვის უფლებამოსილ მოქალაქეთ საარჩევნო სიიდან ჰრიცხავს, ოცი წლის მიცვალებულთა სახელით კი თავისიანებს ადგილებს სთავაზობსო.

**ქალ.** ის რომელი დოსტა-ქარი იყო, რომ სნეულს სასიკვდილო ბანგს ასმევდაო?

## „გლოვის ზარიდან"

(მამულს)

1. გონება ჩემი დახშულია... გული გაშრა, ოცნება მოკვდა, ფიქრი ფიქრს ებრძვის განაწამები; სული კლდესა ასკდება და გზა კი ვერ გაუჭრია.

სანთელი გაჰქრა, ვარდი დაჭსჭკნა.

დავკარგე გრძნობა, დაქანცული ვგდივარ უძრავად. მკვდარი ვარ—არა, ცოცხალი-არა. საშინელი „ვაიმე" ამოხდება გულს, მარტო ერთხელ და კვლავ სიჩუმით არის მოცული ყველაფერი...

გავახელ თვალს, გადავიხედავ: წინ გადაშლილა განუზომელი გადამწვარი მინდვრები, გვერდზე ჩამოდის ტბა-მდინარე და ლოდივით მაწვება სულთამხუთავი. მინდა ვეუბნო, ხმა გამოვცე, მაგრამ არ ესმის ჩემი, უცხოსი, და არ მეთვისება.

კარჩაკეტილი და მივიწყებული ვარ. წამს წამი მოსდევს, ჟამი ჟამსა ჰლევს, თენდება ღამე და ბნელდება დღე, ბედკრულის სახე კი არ გაიღიმებს, სიმშვიდე ელტვის მის სულს და სიცოცხლე გაწამებულია.

**

2. მინდა ვიტირო, მწარედ მოვსთქვამდე, ჩამოვიხოკო ლაწვები და სისხლით შევიღებო სახე!.. მაგრამ რისთვის? ცრემლი არ მომდის... ვისთვის ვიტირო? ვინ გაიგონოს ჩემი კვნესა? ვინ დაინახოს ჩემი ცრემლები?

ერთი ვარ მარტოდ დაშთენილი, ობოლი და უთვისტომო. არავისთან ვარ, არცა არავინ მოსულა ჩემთან. ორმოცი შავი ღამე დაუძინებლად და ორმოცი ნათელი დღე დაუსვენებლად რომ ვიტირო და ცრემლით მოვრწყო მთა და ველი, ცათა მისწვდეს ჩემი ზახილი, ქვათა რო ესმას ჩემი ჩივილი, არავის კაცთაგანს არ შევეწყალები! არავინ ამხდის უბედობის ბორკილს.

მყავდა კი შემბრალებელი, მეგობარი ცის ქვეყნელი. შენ შეიწირე! გადამიკარგე შორს და, უგულო დედამ, არ აღირსე ცხოველი სხივი დავრდომილსაც, ლონე მიხდილს, დაუძლურებულს. მხოლოდ ცივი გვამი მიიბარე სამარადისო განსასვენებლად!..

**

3. სული მაშვრალი შენსკენ მოჰფრინავს და გული დადაღული მოგიწოდებს! არა სიმდიდრის თხოვნა მინდა, არა მწადიან არც დიდება, არც სახელი, არცა პატივი. ხმა გამომეცი მხოლოდ, ხმა დედისა, ალერსიანი! ამით გამკურნებ, დამიყუჩებ სალმობას და დამხსნი სიკვდილისაგან.

მითხარი, მამცნე, რომ მდევი ხარ, გმირი უტოლო. ხმა შენი გრგვინვაქუხილია და როცა ფეხს გადასდგამ, მიწა იძვრის. სიტყვა შენი ბრძანება არის და ვაი უნებელს, ვინც არ დაემორჩილოს ნაბრძანებს. მთანი ძრწიან შენი რისხვისაგან და მდინარენი სდგანან დადუმებულნი.

მითხარი, მამცნე, რომ სათნო ხარ ღვთისა, თავმდაბალი მცირე და ზეციური შარავანდედით გიბრწყინავს შუბლი. არა მტრობის, შურის და სიძულვილის არის ენა შენი, არამედ ტკბილ-მაუბარი, საყვარელი და კეთილი. წმინდა გაქვს აზრი და მართალი-საქმე...

რისთვის სდუმხარ და არას მითხრობ? მრქვი! ნუ იყო უსწორო, ნურც მრისხანე, ნურც მშვიდი. მითხარი მარტო, რომ არსებობ: ცოცხალი არის სული, სისხლი არ გაცივებულა და მაჯა გიცემს. ნუ ხარ ულმობელი, უმიწყალო; ნუ მომაშორე სახე შენი თვალთაგან და მრქვი, დედამ, რომ შვილი ვარ შენი!

სდუმხარ!.. დატყვევებულა შენი გული; შვილს აღარა მცნობ. მაშ, მოუწოდე შავ ყორანთ, შემოსხნდენ გარშემო და გესლიანად დამჩხავლონ უბედურს! ელვა-ქუხა თავს დამატეხე და მომივლინე რისხვა! გადმოხეთქე ნიაღვარი მთიდამ და დაატაკე ჩემს სნეულს გულს!..

**

4. ხომ მოიძულე ერთგული შვილები და ვისაც მეტად უყვარდი, მით უფრო შორს გააძევე, მოსწყვიტე მშობელთ და შვილებს და გარდახვეწე უცხო მხარეს, ველურთა შორის.

გამშლია ტყვეთა რაზმები, გზა არ მოსცთება. გადაუგდიათ მხრებზე ხილინდრები ხელ-ფეხთ შებორკილთ, ფერ-მიმკრთალებს, თვალჩავარდნილებს. მიდიან დღეს, მიდიან ხვალ. ისმის ჩხარუნი ხუნდებისა. ჰგოდებენ თავ-დადებულნი და უტყველად გეთხოვებიან უგრძნობელს დედას.

ნუ თუ საამურია მათი სახე? გატკბობს ბორკილების ხმა? და უცნაურია შენთვის სევდიანი ღიმილი, ღიმილი აღმოუფხვრელის სიყვარულისა?

ტყვენო! აახმაურეთ უფრო ძლიერ თქვენი მონობის სამკაულები; მოჰფინეთ ხმელთა და ზღვათა კვნესა, აფრქვიეთ სისხლის ცრემლები, და გაახარეთ დედა. თუ არ სწყურიან თქვენთვის ბედნიერება, მო, გაიგონოს თქვენი მწუხარება და დასტკბეს. მიუძღვენით ეს უკანასკნელი სიხარულიც!..

**

5. დატანჯული მგზავრობის შემდეგ მიაღწევენ ტყვეები შორს ქვეყანას. უცხოა მზე, უცხოა მთვარე. დილის სხივი არ მიესალმება მათ, ცა არ გადმოხედავს ალერსით, არავინ გაუგონებსთ სიტყვას.

გავლენ მინდვრად, გავლენ ტყედ მარტონი. დასხდებიან მდინარის პირას, ვით ისრაელნი, და ამოსკვნით მოიგონებენ სამშობლოს დატოვებულს, თავისუფლებას დაკარგულს. ღრუბელთ შესჩივლებენ თავის წყეულს სიცოცხლეს, ფრინველთ გაანდობენ იდუმალ ზრახვებს. მაგრამ ვერ მიწვდება გულისწადილი მათ ჭირისუფლებს! სამარისებული სიჩუმე ირგვლივ, ღმუიან მხოლოდ ნადირნი და მოაგონებენ გარდახვეწილებს, რომ ცხოვრების ნასახი-და დარჩა...

სტირის დედა და მოსთქვამს ცოლი: არავინაა მათი გამკითხველი. სახლი იქცევა, ცეცხლი გაჰქრალა, გაცივებულია ოჯახის კერა. სახურავიდან სასტიკი ქარი უბერავს და შიშველ ბალღებს არა აქვთ ლუკმა. ძვალად ქცეულებს, გამხმარ ხელებს ხშირად გაუშვერენ დედას, ხოლო ბედშავს მარტო მდუღარე ცრემლები დარჩენია მშივრებისათვის.

მოხუცი მამა კართან მიწოლილა, ავადმყოფი და დაღონებული გაიყურება გზისკენ: ხომ არსად არის მისი დევნილი შვილი? ვინ უწყის, ეგებ გამოექცა ბეჩავ ცხოვრებას, რომ ერთხელ კიდევ მოეჩვენოს მომაკვდავ მშობელს და უკანასკნელად გადაუკოცნოს თეთრი წვერი. მაგრამ, არ არის... არავინ არის.

ვერ გაუძლო მისმა შვილმა მწარე ტყვეობას, სხვა მიწის ჰაერს ვერ შეეგუა, სუსხმა დასწვა ნაზი ყვავილი და უდროოდ დალია დღენი. ორმა ძმამ გაუთხარა წყლიანი სამარე და დამარხეს გაუბანელი, გაასვენეს დაუტირებლად...

**ბაჟ.** ეგ თ. დი პავ. თუმანიშვილი იყო, ქართულ თეატრს ურჩევდა: თუ სიცოცხლე გინდა, სამის წლით მოკვდიო.

**ქალ.** ის რა სულიერი იყო, რომელმაც გაქირობაში ვალაამის ვირს გადააჭარბა?

**ბაჟ.** ეგ კავკავის ქართულ სკოლის „დირექტორი" ტ. კახიძე იყო, ემუდარებოდნენ თავი დაგვანებეო, მაგრამ მებადის ყური გამოიბა.

**ქალ.** ის რა სულდგმული იყო — სანამ მშიერი იყო ქვეყანას აცინებდა, რაკი გაძღა, სიცილის ხალისი დაჰკარგაო.

**ბაჟ.** ეგ „ეშმაკი" იყო, როცა თბილ ადგილზე მოიკალათა, ოხუნჯობაც ქვეშ მოიყოლაო.

**ქალ.** ის რომელი გამოიმასქნული რამაა, რომელსაც არც კაცი მიეტანება, არც ძაღლი?

**ბაჟ.** ეგ დანელიას „შემოქმედის ნაწყვეტებიაო".

**ქალ.** ის რომელი შემოქმედია, რომელიც სინათლის მისაღწევად ტრამვაის ვაგონს ფეხ-და-ფეხ მისდევდაო?

**ბაჟ.** ეგ პოეტი ვარ. რუხაძეა, რომელმაც დასწერა:

„კონკას მივდევდი ელექტრონისასო".

**ქალ.** ის ვინ იყო, რომ ახალთაობასა სწრთვნიდა, ჭაბუკს აქორწილებდა, ასაკში მოსულთ ათხოვებდა, ფეხმძიმეთ მოამშობიარებდა, მიცვალებულთ ჰმარხავდა და მეტის ჯაფისაგან მხედველობა დაჰკარგაო?

**ბაჟ.** ეგ ივ. როსტომაშვილი იყო, ჯერ მასწავლებლობდა, მერე გახსნა საქორწილო კასა, შემდეგ საორსულო, მერე—სამარხი... ყველა „ერთად დამარხა და თვალის „სინათლეც" ზედ გადააყოლაო.

**ქალ.** ის რომელი სულიერია, რომ ძველ თხიერში ახალი ღვინო ჩაასხა, ვისაც აგემა, ზოგს ეტკბილა, ზოგს—ემწარა, ზოგს შიგნეულობა დასწვა, ზოგი კი ეშხზე მოიყვანაო?

**ბაჟ.** ეგ თქვენი მდივანია, ჩვენს საუბარს რომ სათითაოდ სწერსო.

**ქალმა ხთქვა:** კარგი. ადექ და წადი. დღეს გადამირჩი, მაგრამ ხვალ კი საიქიოს გაგისტუმრებო.

**ბაჟმა მიუგო:** რომელმა ღმერთმაც დღეს დამარჩინა, ხვალაც ის ღმერთი დამარჩენსო. ადგა და წამოვიდა.

**შილდი.**

# კახეთის ახალშენები

(შრომის საზოგადოება).

შრომის საზოგადოება მდებარეობს ლაგოდეხის მარცხნივ სულ 100—200 მანძილზე და შესდგება ორი სოფლისაგან: შრომა და კავშირი. პირველში სცხოვრობს 120 კომ. და მეორეში 42 კომ.

შრომლები გადმოსახლდნენ ქიზიყიდან, სადაც იგინი მეტად შევიწროვებულნი იყვნენ უმიწაწყობით და დიდი დავიდარაბის შემდეგ 1909 წ. მათ მიუზომეს სახელმწიფო მიწა ქიაურის აგარაკიდან სულ 1168,80 დეს.

შრომლების დასახლებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის სიღნაღის მაზრის 1 განყოფილების მომრიგებელ შუამავალს თავ. ი. გ. ჯორჯაძეს, რომელსაც შრომლებ მამას უწოდებენ და არავითარ საზოგადო საქმეს არ დაიწყებენ მის დაუკითხავად. მეტი ნაწილი მათგანი მეთამბაქოებას მისდევს.

**კავშირში** სცხოვრობენ შორაპნის მაზრის შემდეგ სოფლებიდან გადმოსახლებულნი:

| | | |
|---|---|---|
| ბეკვეთიდან | 3 | კომ. |
| ქალყანიდან | 7 | „ |
| წმანიდან | 3 | „ |
| ხვანიდან | 6 | „ |
| გრიგალათიდან | 3 | „ |
| ხუნევიდან | 1 | „ |
| კორბოულიდან | 3 | „ |
| და ბეინევიდან | 1 | „ |

და 15 კომლიც ლაგოდეხიდან არიან გადმოსახლებულნი. ამათ ყველას 1907 წ. საგლეხო ბანკის დახმარებით ნასყიდი აქვთ თავ. დ. ე. ჩოლაყაშვილის მამული, სულ 505 დეს. 1200 კვ. საჟ., გასასტუმრებელი აქვთ ბანკის ვალი სულ 27,400 მან. 55½ წლის განმავალობაში (ყოველ წლივ 1233 მან.) სოფლისთვის სახელი „კავშირი" დაურქმევია თითონ თავ. დ. ე. ჩოლაყაშვილს. კავშირელები მისდევენ მეთამბაქოებას და პურსა და სიმინდის თესვას.

ქიაურის აგარაკში ეს ერთად ერთი საზოგადოებაა მხოლოდ ქართველებით დასახლებული და დანარჩენი კი ირგვლივ რუსებითაა დასახლებული, აქ შემდეგ სასოფლო საზოგადოებაა: ლაგოდეხი, ნოვოალექსეევკა, ნოვო-მიხაილოვკა, გრაფოვკა, ილარიონოვკა, ნ.-ვარანცოვკა და დაშკოვკა.

თუმცა შრომის საზოგადოებისათვის არავის არავითარი დახმარება არ აღმოუჩენია, როგორც ახლად დასახლებულ რუსებისათვის, მაგრამ არაფერში უკან არა რჩებიან.

შრომლებმა ბევრი იფიქრეს იმაზე, თუ როგორი სასწავლებლის გახსნა იყო მათთვის სასარგებლო, სამინისტროსი თუ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ბევრის ფიქრის შემდეგ საჭიროდ სცნეს წ. კ. საზოგადოების სკოლა და ერთხმად დაადგინეს: „მივმართოდ ქართველთაშორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ჩვენს სოფ. სკოლის გახსნის შესახებ და თუ ზემოხსენებულმა საზ. იკისრა სკოლის გახსნა, მაშინ ჩვენ მოვალენი ვართ მივსცეთ წ. კ. საზოგადოებას სკოლისათვის ადგილი, ავაგოთ სკოლის შენობა, პასწავლებლის ბინიანად, ვაძლიოთ შეშა და მოსამსახურე, მხოლოდ მასწავლებლის ჯამაგირის მიცემა და სკოლის გამგეობა თითონ წ. კ. საზოგადოებამ იკისროს." კანონიერად შემოწმებული განაჩენი უკვე გაიგზავნა სადაც ჯერ არს.

მკითხველი ადვილად მიხვდება თუ რა გადაგვარების გზა მოელის შრომის საზოგადოებას, თუ ახლავე არ დაკმაყოფილდა შრომლების სულის მოთხოვნილება.

ქართული სკოლა შრომის საზოგადოებისათვის ერთ უსაჭიროესობას შადგენს და ამისათვის დაიმედებულნი ვართ, რომ წ. კ. გ. საზოგ. ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს მას და ყოველივე ღონისძიებას იხმარს, რომ დააკმაყოფილოს შრომლების თხოვნა.

აღძრულია აგრეთვე შუამდგომლობა წვრილ სესხის გახსნის თაობაზე. უსურვოთ ჯერ ნორჩ შრომის საზოგადოებას თვითშეგნების გზაზე დადგომა.

**შეფანიხეველი.**

# ზარის ხმის მნიშვნელობა

(ზემო-იმერეთის მღვდელთა ხაყურად დებოდ).

ეკლესიის ზარის დარეკვას უძველეს დროიდან საქართველოში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც აქვს. ზარი ირეკებოდა არა მარტო წირვა-ლოცვისა და მიცვალებულის გასვენების დროს, არამედ მაშინაც, როდესაც მტერი შემოესეოდა სოფლებს, თუ სადმე ცეცხლი გაჩნდებოდა, ან ეკლესიას ყაჩაღები დაეცემოდნენ, ან რამ უბედურება მოხდებოდა სოფლებში; ზარი ირეკებოდა სხვა და სხვა გვარად და არა ერთნაირად, რათა მცხოვრებლები მიმხვდარიყვნენ რეკვის. საბაბს მიზანს და მიშველებოდნენ. უბრალოდ და შესაქცევ-გასართობად ზარს ვერავინ ჩამოჰკრავდა.

დღესაც საჭიროა დაცულ იქნას ასეთი ტრადიციული ჩვეულება, მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთ სოფლებში სრულებით სხვასა ვხედავთ: საჭიროა თუ არა, წამ და უწამ გამვლელ გამომვლელი, უფრო ხშირად, ცელქი ბავშვები,—ჰრეკს ზარს უსაბუთოდ.

წლის ივლისის თვეში სამიოდე კვირა დავრჩი ზემო-იმერეთის სოფლებში და შევნიშნე შემდეგი: ეკლესიებს მორიგებით სდარაჯობენ ღამით სოფლელები; შუაღამისას მივლენ ეკლესიის გალავანში, ასტეხენ ზარის რეკას და განუწყვეტლივ მთელ ნახევარ საათსა ჰრეკენ და დღის შრომით ქანც გამოლეულ ჩაძინებულ ხალხს მოსვენებას უფრთხობენ.

რა საჭიროა ეს, არ მესმის! ყაჩაღებს თუ ატყობინებენ აქა ვართო, სულ ტყუილია; დარწმუნებული ვარ, მაშინვე რომ დაეცეს მათ მძარცველები, ისინი იმ წამსვე მიიმალებიან. თუ სოფელს უნდათ გააგებინონ მოვედით სადარაჯოდო, მაშინ შებინდებისას მივიდენ ეკლესიის გალავანში და სამჯერ ჩამოჰკრან ზარს. უდროვო დროს ასე შეუწყვეტელი ზარის რეკა უნდა ატყდეს მაშინ, როდესაც რაიმე უბედურება მოხდება, რათა შეიტყოს ხალხმა და მიეშველოს. საჭიროა ამ გარემოებას მიაქციონ ყურადღება ბლაღოჩინ-მღვდლებმა, მოახდინონ განკარგულება და დაავალონ ადგილობრივ მღვდლებს, რომ ზარი ირეკებოდეს საჭიროების დროს სხვა და სხვა ხმით; უმიზეზოდ ვერავინ უნდა გაჰბედოს ზარის ჩამორეკვა.

დარაჯებისთვის კი მრევლმა უნდა შეიძინოს მთავრობის ნებადართვით კარგი სისტემის თოფი ორი ან სამი, თორემ ხელკეტით შეიარაღებული სოფლის დარაჯები რას დააკლებენ თოფ-რევოლვერ-ხანჯლით შეიარაღებულ ყაჩაღებს!?. სოფელი სადარაჯოს მაინც იხდის სიმინდით თუ ხორბლით, და ბარემ დარაჯობა დარაჯობას ემსგავსებოდეს და არა თამაშობას!

**ლადო ბზვანელი.**

# ხმა აბასთუმნიდან

დაბა აბასთუმანი, როგორც მკითხველთა უმრავლესობას მოეხსენება, ცნობილია, როგორც კარგი საავარაკო ადგილი. აქ ყოველ ზაფხულობით ურიცხვი ხალხი აწყდება. უმრავლესობას სასულე ორგანოთა ავადმყოფნი შეადგენენ, რომელთაც ძალიან ჰრგებს აქაური ჰავა და ნაძვ-ფიჭვის წებოს სუნით გაჟღენთილი ჰაერი. ამგვარ ავადმყოფებს გარდა მრავლად მოდიან საბანად ცხელ წყლებში, რაც ძლიერ შველის ქარებით დაავადებულთა და სუსტთ.

წლის მოაგარაკეთა რიცხვი შარშანდელზე ნაკლებია. დარები ძლიერ კარგი დადგა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოაგარაკეთათვის.

ბუნება ყოველ მხრივ ხელს უწყობს მოაგარაკეთ გაჯანსაღებას, მაგრამ მარტო ბუნება რას იზამს, თუ ცხოვრების სხვა პირობებიც ხელს არ შეუწყობს. რაც უნდა დასუსტებული მოვიდეს აქ ავადმყოფი, რამოდენიმე დღის განმავლობაში გამჯობინებას ატყობს. მაგრამ ისეთ მოსაზრდოებელ საჭმელს, როგორიც არის რძე, მაწონი, კუმისი და კეფირი, და რომელნიც უმთავრეს როლს თამაშობენ ადამიანის გაჯანსაღებაში, ვერსად იშოვნით საღად შემზადებულს, ყველა ამაების შემზადება-გაყიდვა აქ რამოდენიმე ფირმის ხელშია, რომელთა გამგენი პირნათლად არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. სიძვირისას არას ვიტყვით: უმჯობესია მეტი აიღონ და საღი საქონელი ჰყიდონ. საქმე იმაშია, რომ წყალ-შეურეველსა და ნაღებ მოუხდელ რძეს ვერ იშოვნით. მაწონიც ამგვარ რძისგან კეთდება; კეფირს აქ სამი ფირმა ამზადებს, და მუშტრის მისაზიდად დაკლებულ ფასებად ჰყიდიან; კუმისი ხომ ცხენის რძისაგან შემზადებული არ არის, რადგანაც აქ ცხენის რძე თითქმის არ იშოვნება, კიდევ კარგი რომ ყველა ამაებს სუფთად ამზადებენ: ჰურკლეულობას მდინარე „აბასთუმანკა"-ში ჰრეცხენ, რომელიც ყოველივე სიბინძური თაა სავსე.

საჭიროდ მიმაჩნია ორიოდე სიტყვით აღვნიშნო აქაურ სასტუმრო სახლებში და ბუფეტებში მოსამსახურეთა უმწეო მდგომარეობა. ისინი საერთოდ მოკლებულნი არიან ყოველივე სოლიდარობას და კავშირს. მათი ჯამაგირი არ აღემატება თვეში ათ მანეთს, ნაკლებიანთა რიცხვი კი ორ წილზე მეტია. ასეთ დაწყსებულებათა გამგე-პატრონები კი მოაგარაკებზე უთითებენ: „კარგად ემსახურე, გაჩუქებენ და იმით შეავსებ შენს ჯამაგირსო".

**ი. ბუკიხციხელი.**

# სიღნაღელების საყურადღებოდ

(Bogano-ს წერილის გამო)

„სახალხო გაზეთის ფურცლებზე რამდენჯერმე იყო მოთავსებული ბ. Bogano-ს წერილები ქ. სიღნაღის უნუგეშო მდგომარეობაზე, სადაც იგი, სხვათა შორის, ეხებოდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ბედს, რომლის ნებართვისათვისაც ვერ მიუგნიათ, მხოლოდ განუზრახავთ კი მისი განახლება, სცენის მოყვარეთა სექციისა და წ. კ. გ. ს. განყოფილების დაარსებაც.

მსურს ვაუწყო დაინტერესებულ პირთ და სიღნაღის ქართველ საზოგადოებას შემდეგი: ქ. სიღნაღში 1904 წ. პატივცემულმა მიხ. ნასიძემ აიღო ნებართვა და გახსნა ამავე წლის 28 სექტემბერს ბიბლიოთეკა-სამკითხველო ქ. სიღნაღში, რომელიც 1908 წ. გაზაფხულამდე არსებობდა, მხოლოდ ზაფხულში სამუდამოდ დაიკეტა უსახსრობისა გამო. სახლის პატრონმა გადაჭრით მოითხოვა სახლის დაცლა და ქირის გადახდა. მან მაზრის უფროსს მიმართა და გოგოხიას აპირებდა, სამარცხვინოდ, საჯაროდ გაყიდვას, მაის ნება არ მივეცი მე, როგორც საზოგადოების წევრმა. მან უწმაწური სიტყვებით მომმართა და თითქმის გალახვაც მოინდომა ჩემი. დიდი ხვეწნის შემდეგ დავიყოლიე: წარმოდგენას გავმართავ და მის შემოსავლიდამ გაგისწორდები მეთქი, რაც სისრულეში მოვიყვანეთ. მთელი შემოსავალი გადაეცა მოთხოვნილებისამებრ მაზრის უფროსს ბ. გოგოხიას, ფულთან ერთად ბიბლიოტეკის ნამდვილი ნებართვაც, მხოლოდ მივასწარით რამდენიმე ეგზემპლიარი ახლის გადაღება რემინქტონით და წიგნის ყუთებში ჩავაწყეთ. რაიმე შემთხვევისთვის იძულებული გავხდი ბიბლიოტეკის ქონება სამხედრო საკრებულოს დარბაზში გადამეზიდინებინა, სადაც იმ დროს ვმსახურებდი და დღევანდლამდე იქვე იმყოფება, რადგან კერძოდ მე და ზოგიერთმა პირმა ვერავითარი ღონის ძიება ვერ გამოვძებნეთ მის ხელ-ახლად დაარსებისთვის საზოგადოების დაუხმარებლად, გადავწყვიტეთ მოგვეწვივნა მოქალაქენი ამ საქმის განსახორციელებლად. 1908 წ. შემოდგომაზე ავიღე ნება კრების მოწვევისა მაზრის უფროსის დროებით ვალდებულების აღმსრულებელ ბ. ობოლენსკისაგან. კრება მოხდა საქალაქო სასწავლებლის შენობაში რომელსაც დაესწრო როგორც მთავრობის წარმომადგენლები, აგრეთვე საკმაო რიცხვი მოქალაქეებისა და სიღნ. მოურავი ბ. ენიკოლოფოვი. ენიკოლოფოვი თავჯდომარედ აირჩიეს, მე მდივნად. კრებამ ერთხმად დაადგინა ბიბლიოთეკის კვლავ გახსნა და აირჩია კომისია ბიბლიოთეკის წყაროს აღმოჩენისთვის და ახალი წესრიგის პროექტის შემუშავებისათვის საერთო კრების წარსადგენად, კომისიაში აირჩიეს ექიმი კ. ტურიაშვილი, ბაგრატ ამირხანოვი, ქრისტეფორე საბუთაშვილი და ამ სტრიქონების დამწერი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბ. ენიკოლოფოვი, ქალაქის მოურავი, დაჰპირდა კრებას, რომ ბიბლიოთეკისათვის შენობას ქალაქის გამგეობა უფასოდ დაუთმობდა და აგრეთვე აღუთქვა, ქალაქის ბიუჯეტიდან 100 მან. გადადებთ ერთდროულ დახმარებისთვისო. სამწუხაროდ ეს დაპირება დაპირებად დარჩა.

კრების ოქმი, ნებართვის ასლი, წიგნების კატალოგი და ბიბლიოთეკის სხვა დავთრები პირველ კომისიის კრებაზე წარვადგინე ბ. კ. ტურიაშვილთან. სამწუხაროდ, კრება არ შესდგა საკმაო წევრთა დაუსწრებლობის გამო. დავნიშნეთ მეორე, მესამე, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ ამ დღიდან ყველა დავთრები დარჩა ტურიაშვილთან. შემდეგ გადავწყვიტეთ (მე და ექ. ტურიაშვილმა), რომ მოვლაპარაკებოდით ტფილისში წ. კ. გ. ს. სიღნაღში ფილიალურ განყოფილების დაარსების თაობაზე და ბიბლიოთეკაც მისთვის დაექვემდებარებინა. მაგრამ სანამ ამას მოვახერხებდით, საჭირო იყო წევრების შოვნა და პატარა ორგანიზაციის მოწყობა განყოფილებისათვის. ამას კი დრო უნდოდა. სწორედ ამ დროს გართული ვიყავ სამხ. საკრ. საქმეში, რადგანაც ჯარში გაწვეული ახალგაზდობა იყო მოწვეული. შემდეგ კი კრგად უწყის სიღნაღის საზოგადოებამ, რომ არ მაკმარეს ოჯახური უბედურება და ციხეში მიკრეს თავი და დღეს იძულებული და გულმოკლული ვიძლევი მოკლე ცნობებს ჩვენი სამარცხვინო გულგრილობის ისტორიისას ციმბირიდან.

დროა სიღნაღის ქართველმა საზოგადოებამ აახილოს თვალი და მიიხედ-მოიხედოს თავის ირგვლივ მაინც, თუ შორს გადახედვა ეზარება, და ამცნოს თავის თანამემამულეებს, რომ ისინიც არსებობენ სადმე.

სიღნაღის ბიბლიოთეკის ქონება შემდეგ ნაირად შეიძლება შეიკრიბოს: ა) სიღნაღის სამხედრო საკრებულოს დარბაზში იმყოფება შემდეგი ქონება ბიბლიოთეკისა: დიდი მწვანე მაუდ-გადაკრული მაგიდა, ღირებული 35—40 მ., ერთი უბრალო მაგიდა, 12 კარგი, ვენური სკამი, ღირებული 30—35 მ., 6 ცალი უბრალო სკამი, ორი გრძელი სკამი, წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, ყუთებით, წიგნის საწყობი თაროები, რკინის ფეჩი და სხვა წვრილმანი;

ბ) სერიოჟა მალაქოვთან არის ჰკერის დიდი ლამფა, ღირებული 3—4 მ. (ბურლი ჰქონდა გაფუჭებული. მას მივეცი გასაკეთებლად, რომელშიაც გამომართვა 20 თუ 25 კ. და ლამფა აღარ დაუბრუნებია);

გ) ტურიაშვილის მშობლებისაგან შეგიძლიანთ მიიღოთ (რადგან ის დაპატიმრებულია) შემდეგი: წიგნების კატალოგი ახალი ნებართვისა და სხ. დავთრები, რომლის მეოხებითაც შეიძლებთ გაფანტული წიგნებისა კრების ოქმების თავმოყრას.

დ) სტუდენტ მებურიშვილისაგან მოითხოვეთ პისარევის თხზულებანი ექვსი ტომი.

ე) სიღნაღის სამაზრო სამართველოს 1908 და 1909 წ. წ. საქმეებში მოძებნეთ ნამდვილი ნებართვა. თუ რაიმე მიზეზით არ აღმოჩნდა, მაშინ გუბერნატორის კანცელარიის გასავალ ჟურნალში უნდა მოიძებნოს 1908 წ. ივნისიდამ ვიდრე სექტემბრის გასვლამდე. ნამდვილზე ხელი უწერია ვიცე გუბერნატორს (აწ გუბერნატორს) ჩერნიავსკის.

აი ის წყაროები, საიდანაც შესაძლებელია ბიბლიოთეკის ქონების აღდგენა. თუ საჭირო იქნება რაიმე ცნობა ჩემგნით, მსურველს შეუძლიან წერილით მიმმართოს შემდეგის ადრესით: ს. კოლპაშევო, ტომსკის გუბერნია.

**ა. უზუნაშვილი.**

# მოწყენილი ამბავი

ს. ვანათი (გორის მაზრ.). ეს სოფელი სამოცდაოდ კომლისაგან შესდგება, მცხოვრებლები, განსაკუთრებით სა-

---

ვაი, მამულო გაწირულო! ვაი, ქვეყანას აოხრებულს, გავერანებულს! ვაი უმწეოს, საპყარს, დაავადებულს, ვისი წყლული ვერ განიკურნა! ვისი კვნესა არ ესმა დედას! ვისი საფლავი არ გაათბო წმინდა ცრემლმა!

**

6. გადახედე შემუსვრილ შვილების ძვლებს, როგორ გადმოუთეთრებიათ შენი კლდეები. მოისმინე ღამის წყვდიადში ჩაკლული გმინვა შენიანების, რომელიც ემხეცთაც კი აფრთხობს. ხელი შეახე ცოცხლებს —ვინ არიან? ხომ არ გამწყდარან ყველანი? ყური დაუგდე მათ ხმას— ხომ არ დამუნჯდნენ? დააცქერდი— ხომ არ დაბრმავდნენ უღლონი?..

კვლავ მდუმარე ხარ და უწყალო!

გაქვავდა. გული და სახე შენი არას ამბობს. არც ცრემლია, არც ღიმილი, არც სიბრალული! სადაა გრძნობა შემოქმედი? სადაა ფიქრი ამომფრენი? სადაა იმედი, იმედი, რომელიც გმირად შეიქმს უღონოს და გამარჯვებას მიაჩიქებს უკვე დამარცხებულს?

მოკვდა! თვალთ დაჰკარგეს მხედველობა და გულმა სიყვარული. ყურთ არ ესმისთ, შენი სხეული არა ჰგრძნობს ტკივილებს და სული არაფრისაა მდომელი. საშინელია სახე შენი ეგრე უძრავი, გაშეშებული, უტყვი! სიკვდილის ფერი გადაჰკვრია: ცავია, მიუკარებელი, შესაზარი...

**

7. რისთვის ჩომივლინე ეგოდენი სიძულვილი? რით გაგამწარე? რად წარმიტაცე სასოება? რად მემალები, დაემსგავსე აჩრდილს და მიეფარე ყინულიან მთებს?

ნუ სდუმხარ! ნუ მტანჯავ აგრე ულმობლ!.. მრქვი, გამაგონე მარტო ერთი სიტყვა, სიტყვა უკვდავი, სიტყვა სიცოცხლისა!

ჩემს გულში ხომ შენი სიყვარულის მეტი არა არის რა! ჩემი სული ხომ მარტო შენს ბედნიერებას ეტრფის? ჩემი ოცნება ხომ შენს თავისუფლებას დასტრიალებს თავს?

ჩჩვილი რომ ვიყავი და ახლად შობილს პირველად გამომეთამაშე ლამაზის სხივით, გადმოგიწოდე პაწია ხელები და ღრმად ჩავინერგე შენი ალერსი. იმ დღიდან განუყრელნი ვართ. შენი ბედია ჩემი ვარსკვლავი და ვიდოდი მარჯვნით თუ მარცხნით, სიტკბოებისკენ თუ მწუხარებისკენ, ჩემი გზის მაჩვენებელი მხოლოდ შენ იყავი.

არა გამაჩნია რა ობოლს, ღატაკს, უპატრონოს. უგემურია და ცივი ლუკმა ჩემი; ოდნავად ბჟუტავს ცეცხლი, ცარიელია ოთახი; წარიხოცა ყოველი ჩემი! მარტო ერთი ქონება მაქვს—შენი სიკეთე, მარტო ერთი სიყვარული—შენდამი, ერთი სიხარული—შენი გახარება, ერთი სიცოცხლე—სიცოცხლე შენთვის!

მშობე და აღმზარდე, გამაგონე უტკბილესი სიმღერა, აღმიძარი უნაზესი გრძნობა, მაღლიდამ დამანახვე ღმერთი, სიკეკლუცე სამოთხისა... და ნუ გამრისხავ აწ! ნუ მომიძულებ, ნუ დამკარგავ! დამიბრუნე სითბო გულისა, მიმიკარ მკერდზე და აღმიგზნე იმედი: გიხილო ბედნიერი, თავისუფლად დავიჩოქო შენს წმინდა მიწაზე, დაგიკოცნო მწვანე ყანები, დავყნოსო შენი ყვავილები, განვიბანო ცხოველ წყალში!

ნუ თუ არ შემიწყალებ?... სახე შენი არ შეიცვლება და დუმილით, კვლავ დუმილით მიპასუხებ?..

**

8. გლახაკ ვარ და დავრდომილი! ცოდვილ ვარ და წარწყმენდილი!

ჩამოვიგლიჯე საკინძი, თავზე დავიყარე ფერფლი და ნაცარი და მოვედი ფეხშიშველი შესავედრებლად.

მოვიძაგე ყვედრება და ყოველი ძვირი, ხოლო სახელი შენი შევიყვარე სრულად.

დადნა სხეული ჩემი და სულმა დაიმკვიდრა მხოლოდ დიდება შენი.

ამოვიგლიჯე სხვა ზრახვა და მოვსდრიკე გული ჩემი მორჩილებასა შენსა...

მოიხილე ჩემსა ზედა, მოჰყავ ყური ჩემდა და ისმინე გოდებისა ჩემისა, ისმინე ვედრებისა ჩემისა, ისმინე სინანულისა ჩემისა.

ნუ გარემოაქცევ პირსა შენსა ჩემგან და იხსენ სული ჩემი დაღუპვისაგან, გული ჩემი ჯოჯოხეთისაგან და ფერხნი ჩემი ბრკოლისაგან!

მუხლებზე დავეცი. გევედრები. ველარსად წავალ. უკანასკნელი განკითხვის დღეა და ველი შენს მსჯავრს.

დედა, გეძახი, შვილი ვარ შენი ლტოლვილი!

დედა, გამიღე კარი! მოვედი შვილი საცოდავი!

დედა, ხმა გამომეცი, და მსხვერპლად სამუდამოდ დაადუმე ენა ჩემი!....

**ს. ფ.**

ხელმწიფო მამულზე მობინადრე გლეხობაა.

ხალხი გულ-კეთილია, მოძრავი და ფხიზელი კი არა. ეს აიხსნება თვით მდებარეობით სოფლისა, რომელიც მოშორებულია რომელიმე კულტურულ ქალაქს.

ყანაში არის „ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ერთ-კლასიანი სკოლა". აქ დიარებიან ბავშვები, როგორც ყანაიდან, ისე ამ სოფელზე მიწერილ სოფელ დმენისიდან, რომელიც მდებარეობს პატარა დიახვ-გადმით. გაზაფხულობით, წყალ დიდობის დროს, ბავშვები სცდებიან სკოლას. სულ ორმოცამდე ბავშვი სწავლობს, თუმცა გაცილებით მეტი რიცხვი შეიძლება ყოფილიყო.

უნდა აღინიშნოს, რომ აქაური ხალხი, საერთოდ გულგრილად ეკიდება სკოლას. **ბერშუელი.**

# სპარსეთის ამბები

პეტერბურგის დიპლომატიურ წრეებში უკმაყოფილებას აცხადებენ ინგლისელების მიმართ, რადგანაც ხელი არ შეუშალეს მაიორ სტოკსის სპარსეთის სამსახურში ჩარიცხვას. შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ თუ ვინიცობაა მაჰომედ-ალი ტახტს დაიბრუნებს და რუსეთიც მის უფლებას კანონიერად აღიარებს, ინგლისსა და რუსეთ შუა უთანხმოება მოხდესო. სპარსეთის ნოტას შემდეგ რუსეთის ელჩს კამერგერ პოკლევსკი-კოზელსა და სპარსეთის მთავრობის შორის კეთილი განწყობილება შეიცვალა. ხმა დადის, ელჩს დაიბარებენ და მის ადგილზე ვისმე უფრო ენერგიულსა და მტკიცე ხასიათის ადამიანს გაჰგზავნიანო.

**სპარსელი კაზაკები.**

სცდილობენ მაჰომედ-შაჰის მომხრე კაზაკებს იარაღი აჰყარონ. ისინი ახლად შემდგარ რაზმებს ნებაყოფლობით იარაღს არ უთმობენ.

**მოწოდება სპარსეთის სომხების მიმართ.**

თეირანში სომხებს მოუწოდებენ, დარბევისა ნუ შეგეშინდებათ და იბრძოლეთ მოჰამედის წინააღმდეგაო.

**სპარსეთი და სხვა სახელმწიფონი.**

სამხრეთიდან თეირანზე მოდის მაჰომედ-ალი თურქმენების თანხლებით, დასავლეთით-კი სალარ-დოულე —ქურთებითურთ. მიუხედავად ასეთის მდგომარეობისა, თეირანის მთავრობა იმით არის დაინტერესებული, თუ რომელი სახელმწიფო როგორ უცქერის მის საქმეებს. ამ დღეებში გარეშე საქმეთა მინისტრის ხელმოწერილი ნოტა გაეგზავნა რუსეთისა და ინგლისის ელჩებს. ნოტაში ერთხელ კიდევ აღნუსხულია რუსეთისა და ინგლისის მოქმედება და ის უყურადღებობა, რომელიც მათ გამოუჩენიათ. ნოტაში ნათქვამია, მაჰომედ-ალი რაღაცას აპირებს და ზომები მიიღეთო. რუსეთსა და ინგლისს დროზე ყურადღება ძიექციათ, მაჰმედი ასეთ ამბებს ვერ გაჰბედავდაო.

ამ ორ სახელმწიფოს ეხლა გერმანიაც მიემატა. აქამდის გერმანიას სპარსეთში კარგის თვალით უყურებდნენ, მაგრამ ახლა ისეთი წერილი მიუწერია გერმანიის ელჩს სპარსეთის მთავრობისათვის, რომ განწყობილება ერთბაშად შეიცვალა. სპარსეთის მთავრობა აძლევდა გერმანელთ ერთს სკოლას წლიურ დახმარებას. ახლა კი საფინანსო საქმეთა მრჩეველს ამერიკელს შუსტერს სხვა წესი შემოუღია დახმარების გაცემისა. გერმანიის ელჩს მიუწერია: ჩვენ არ ვიცით, ვინ არის ეგ შუსტერი და მოვითხოვთ დახმარება ისევ ძველის წესით გვეძლეოდესო. შუსტერი კი ამ ჟამად ისეთს დიდს როლს თამაშობს აწინდელ მმართველობაში, რომ ასეთმა განცხადებამ მხოლოდ გერმანელების შეხედულება გამოაშკარავა.

# რუსეთი

**შავი ჭირი.** ოდესის ქალაქის მმართველობას მოხსენდა, რამოდენიმე შემთხვევა შავი ჭირით ავადმყოფობისა, არა ჰგავს უწინდელსო. გემი „ვორონეჟი", რომელზედაც შავი ჭირით ავადმყოფი ყოფილა, გონკონგში შესულა ხადაც თურმე იყო ეს ჭირია გავრცელებული. სევასტოპოლისა სასანიტარო კომისიამ ვირთაგვების გასაწყვეტად თანხა ითხოვა.

**ხოლერა.** იაროსლავში, სამარაში, ხარკოვში, გაჩნდა და დღითი დღე მატულობს ხოლერა. სამარაში ნიკოლაევის მაზრაში, სულ ავად გამხდარა 952 და მომკვდარა 468.

**გაფიცვა ნავთსადგურში.** პეტერბურგის ნავთსადგურში ექსპორტიორებისა და მუშების წარმომადგენელნი შეთანხმდნენ. გაფიცვა დასრულდა.

**დათხოვნილი პროფესორები.** პეტერბურგის საქალებო საექიმო ინსტიტუტიდან დათხოვნილი პროფესორები პეტერბურგში ჩასულან და გადაუწყვეტიათ, მინისტრს განმარტება მიართვან. მინისტრის პასუხის მიღებამდე იგინი სამსახურიდან გადადგომის ქაღალდს არ აძლევენ, რადგანაც ეგ უფრო განამტკიცებს მინისტრის უმართებულო ბრალდებას ხალხის თვალში.

**მაკარიის ბაზრობა.** ბალახინსკის სამაზრო ერობას დაუდგენია 0,1 კაპ. ფუთზე გადასახადი იმ საქონელზე, რომელიც ბაზრობაზე მოდის. საჯარო კომიტეტის თავმჯდომარეს შუამდგომლობა აღუძრავს, მოსპოს ეს გადასახადი, რადგანაც ასეთი გადასახადი უნდა კანონიერად დადასტურდეს, ერობას ნება არა აქვს მისი გამოცემისა.

**სპარსელები ბაზრობაზე.** ამ ბაზრობაზე მოსულ სპარსელ ვაჭრებს საქონლის ერთი წყება მოსკოვსა და პეტერბურგში უყიდიათ. ამბობენ თურმე, ეს უფრო ხელსაყრელია და ბაზრობაზე მისვლა არა ღირსო. ეს მაინც არ დაუშლის სპარსელების ვაჭრობას, რადგანაც აქ სპარსულ საქონლის გაცვლა-გამოცვლას აწარმოებენ.

# უცხოეთი

## მაროკო

საფრანგეთისა და გერმანიის მოლაპარაკება მაროკოს შესახებ უფრო და უფრო იხლართება და ბოლო არ უჩანს. იმპერიის-პანგერმანელთა პარტიის თავმჯდომარე ჰკიცხავს მთავრობის გაბიაბრუებას იმისათვის, ვითომ მას ჰსურდეს რამე ჩამოსთალოს მაროკოს. კიდერლენ-ვეხტერი იმ თავითვე არ თანაუგრძნობდა და არა სცდილობდა ტერიტორიალურ შეძენასაო.

## ინგლისი

ვეტოს შესახებ კანონ-პროექტისთვის დიდი ბრძოლა ჰქონდათ ლორდთა პალატაში უკიდურეს მემარჯვენეთა და ზომიერ კონსერვატორებს. დიბერალები კი შორიდან უცქეროდნენ მოწინააღმდეგეთა ბანაკის თამაშას. ბილლი შეიძლება გაგიდეს, თუმცა მემარჯვენეთ ასზე მეტი მომხრე ჰყავთ და მთავრობის მომხრენი კი ასამდეც არ არიან. ეპისკოპოსებმა კანონ-პროექტს მხარი დაუჭირეს.

**გემთა საგებ მუშათა გაფიცვა.** მინისტრებმა ჩერჩილმა, გალდენმა და ლოიდ-ჯორჯმა მსჯელობა იქონიეს და ჯარის მოწვევა საჭიროდ არ მიიჩნიეს, რადგანაც დიდი წინააღმდეგობას გაფიცულები არ იჩენენ. შეთანხმებელი კომისია განუწყვეტლივ თათბირობს. ტრედ-უნიონისტთა მოთხოვნილების უმეტესი ნაწილი დაკმაყოფილებულია, მაგრამ გაფიცულები ყველა მუშების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უცდიან.

გაფიცვა თან და თან იზრდება. ამჟამად 100 ათასამდე გაფიცულია. ლონდონში სურსათი ძლიერ გაძვირდა. კოპენჰაგენიდან შეწყდა ღორის ხორცის გზავნა ლონდონში, სადაც 40 ათასამდე ღორი იგზავნებოდა. ლივერპულში, რკინის გზის გაფიცვების მიზეზით, ჯარიც კი გამოიწვიეს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 აგვისტო.

**სახღვარ-გარედ.**

**ლონდონი.** თეირანიდან რეიტერის სააგენტოს ატყობინებენ: სპარსეთის მთავრობა აცხადებს თავის განცვიფრებას ინგლისის მთავრობის განკარგულების გამო მაიორ სტოკსის შესახებ, რასაც ინგლის-რუსეთის ხელშეკრულება სრულიად არ მოითხოვდა.

**ცეტინიე.** 50 მალისორების ოჯახს, რომელთაც უარი განაცხადეს სამშობლოში დაბრუნებისა, იარაღი აჰყარეს, საზღვარს მოაშორეს და დახმარებას აღარ აძლევენ.

**ზაგრები.** „სოკოლების" დღესასწაულში მონაწილეებმა გვირგვინი დასდეს დამსახურებულ „სოკოლთა" საფლავებს და სიტყვები წარმოთქვეს.

**ჰელსინგფორსი.** ივლისის განმავლობაში განვიდან გავიდა 914 ემიგრანტი, მათ შორის 900 ფინელია.

**ლივერპული.** ასი ათასი მუშა გაიფიცა და დემონსტრაცია მოახდინა, გამოიწვიეს ჯარი. 1 პოლიციელი მოჰკლეს და 20 მეტი დაჭრილია. 50 კერძო პირია დაჭრილი.

**ბაზელი.** სიონისტთა კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც წინადადება ეძლევა ებრაელებს, პალესტინაში და სირიაში კოლონისხლებას მხარი დაუჭირონ. კომისიას მიენდო ბერლინში საემიგრაციო ბიურო დაარსოს.

**რუსეთი.**

**ასტრახანი.** ქალაქში და მაზრაში ხოლერით გახდა 29, მოკვდა 10.

**კოსტრომა.** ხოხონიხში ბაქტერიოლოგიური გამოკვლევით ხოლერა აღმოჩნდა.

**ოდესა.** ადგილობრივ მფრინავთა კლუბი ფრენასა ჰმართავს ნიკოლაევიდან ოდესაში (160 ვერსი) ერთის დასვენებით.

**მოსკოვი.** ამხანაგობა „ვოლგას" მოსამსახურეთა დარღვევობით მდ. მოსკოვში ჩაუშვეს 6.000 ფუთი ნავთი, რომელსაც ცეცხლი წაეკიდა. რამოდენიმე ტვირთსაზიდი ნავი დაიწვა.

**ბაქო.** სუპეხდარის თანაშემწემ არშაკ-ხანმა, რომელიც ევროპას მიემგზავრება, ბაქოდან წერილით მიჰმართა რეგენტს, კაბინეტს, დეპუტატებსა, ეფრემსა და სხვა სომხებს ემუქრება, ნუ ჩაებმებიან პოლიტიკურ განხეთქილებაში და სპარსეთში მცხოვრებ სომხებს ამით დარბევასა და დაწიოკებას ასცდენენო.

# თეატრი და ხელოვნება

**ქ. დუშეთი.** 23 ივლისს დუშეთის სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქმნა გულისაშვილის ხუთმოქმედებიანი პიესა: „დრონი მეფობენ" ხელ მოკლე მაგრამ იმედითა და ენერგიით სავსე ახლად გათავებულ ქართულ გიმნაზიის მოწაფის გ. ჯი—ძის სასარგებლოდ.

ცოტა მაინც სიცოცხლე დაეტყობა ხოლმე დუშეთს, როდესაც სადგარაკოდ დათხოვნილი ახალგაზდობა ესტუმრება. წარმოდგენამ მაინც და მაინც ისე არ ჩაიარა, როგორც თვით სცენის მოყვარეთ ეგონათ. მადლობის ღირსნი არიან ყველა მონაწილენი ამ პიესის დადგმისათვის. ენერგიით და გულმხურვალედ ეკიდებოდნენ საქმეს. მადლობის ღირსნი არიან ბ. გ. მაისურაძე, ნ. ზანდუკელი, ს. კობიაშვილისა. უმეტესად ეს ჩვენი მუდმივი სცენის მოყვარე ქალი, რომელიც ამ სიცხე-პაპანაქებაში არ ეზარება და სოფლიდან ორი ვერსის მანძილიდან დაიარება რეპეტიციებზე.

მადლობის ღირსია ჩვენი მუდამ უფასოდ გრიმების გამკეთებელი უ. აზიზოვი. გულ-მოდგინედ იყვნენ საქმეზედ ქქ. ო. ავალოვისა, ნ. კობიაშვილისა, ს. მინასოვისა.

დიდად სასურველია, რომ ასეთი შრომა და მეცადინეობა არ მოაკლდებოდეთ ჩვენს ზაფხულის სცენის მოყვარეთ, და სულ მუდამ ყრუდ მიგდებულ დუშეთს, წელიწადში ერთხელ მაინც გამოაფხიზლებენ. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო.

**დათიკო.**

# წერილი რედ. მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო ქ-ნ შუშანიკ შაქარიანცს, რომელმაც ვერის წმ. ნიკოლოოზის ეკლესიას სამ თუმნად ღირებული პალი შემოსწირა.

ვერის წმ. ნიკ. ეკლესიის მნათე **ნ. ითხელიანი.**

—

**დაუვიწყარ ფილიმონ ქორიძის** **პატივისცემელთ** განზრახვა ჰქონდათ გვირგვინით შეემკოთ მისი ძვირფასი ცხედარი, მაგრამ რადგანაც ეს აქ არ მოხერხდა, გთხოვთ ამ მიზნით შეგროვილი თვრამეტი მანეთი და სამი აბაზი (18 მან. 60 კაპ.) გადასცეთ იმ პირს ან დაწესებულებას, რომლებიც მოაწყობენ მისი ნაწერების დაბეჭდვას. შემოსწირეს:

თითო მანეთი: იასონ მოსეშვილმა, გრიგოლ აბაკელიამ, სიმონ მელიამ, ევტიხი ჩხატარაიშვილმა, ფარნა დგებუაძემ, მიხეილ ჩხატარაიშვილმა, ვლადიმერ დავითაიამ, იესე ჩიგოგიძემ, ტარასი მამალაძემ, სერგო მამალაძემ. ათ-ათი შაური: მიხეილ ცეცხლაძემ, სერგო დათუნაშვილმა, არსენ ვადაჭკორიამ, სოფიო ჯაყელისამ, მარო მგელაძის ასულმა, ნინო მამულაიშვილის ასულმა, მუცუცა ჯაყელის ასულმა, ალექსანდრა გაგუას ასულმა, ნინა ჯუღელის ასულმა, დ. მახარაძემ, კაკალა ნაკაშიძის ასულმა, სამსონ ვაშაყმაძემ, ევსევი უშვერიძემ, გიორგი თავართქილაძემ, მიხეილ შარაშიძემ. ექვსი შაური: ნოე მგელაძემ. თითო აბაზი: ილიკო გოგელიამ, პაპუ ჟორდანიამ, გოგუცა დემუროვისამ, ტიტიკო ჩხატარაიშვილმა.

**მუცუცა ჯაყელის ასული და ალ. გაგუას ასული.**

რედაქციამ ეს ფული მიიღო და დანიშნულებისამებრ გადასცა.

# გამოსადეგი ცნობა

## პეტერბურგის ბირჟა

2 აგვისტო.

(ნაჩვენებია განაღდების ფასები).

**ხარგებლიან ქაღალდების ფასები:**

| | |
|---|---|
| 4% სახ. რენტა | 93³/₄ |
| 5% გირ. ფ. ს.-აზ. სახ. ს.-მამ. ბან. | 99³/₄ |
| 4% " " " " | 91 |
| 3½% " " " " | 85¹/₈ |
| 5% გირ. ფურც. ტფ. სათ.-აზ. ბანკ. | 86¹/₄ |
| 4½% " " " " | — |
| 5% " " ქუთ. მიწ. თ.-აზ. ბანკ. | 84 |
| 5% ობლიგაც. ტფ. ქალაქ. საკ. ხაზ. | — |
| 4½% " " " | — |
| 5% I მომგებ. ბილეთ. | 472½ |
| 5% II " | 364 |
| 5% III " | 324 |

## ტფილისის ბირჟა

**სანოვაგისა და ჭირნახულის მაზანდა:**

| | |
|---|---|
| მატყლი თუშური | 7 მ. 80 კ. 8 მ. |
| ბამბა ქუთათური | — |
| აბრეშ. პარკი ქუთათ. და ადგილ. | 15-16 " |
| ჭიათ. შავი-ქვა (ჩვეულებრივი | — |
| ჭიათ. შავი-ქვა (გარეცხილი | — |
| ყველი ქართული | 7 მ. 40 კ. 8 მ. |
| თხილი ჩაქათალისა | — |
| ღვინო კახური | 3 მ. 50 კ. |
| შაქარი (თავისა | 5 მ. 25 კ. 5 მ. 30 კ. |
| შაქარი (ფხვიერი | 4 მ. 60 კ. |
| ორბალი | — |
| ქერი თეთრი | — |
| სიმინდი | — |

## მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

(დრო პეტერბურგის საათითაა ნაჩვენები, რომელიც ადგილობრივ საათზე 58 წუთითაა უკან).

**ტფილისიდან გადის:**

1) **ბათუმისაკენ:** N I—III კლ. ჩქარი მატ. საღ. 10 ს. 10 წუთზე. გორში ჩადის ღამ. 12 ს. 8 წ., მიხაილოვში ღამ. 1 ს. 12 წ. რიონში დილ. 5 ს. ბათუმში დილ. 8. ს. 45 წ.

2) **საფოსტო მატარ.** N 3. I—III კლას. გადის დილ. 9 ს. 44 წ., გორში ჩადის 12 ს. 27 წ. მიხაილოვში ნაშუადღ. 2 ს. 1 წ., რიონში 6 ს. 35 წ., ბათუმში ღამ. 11 ს. 37 წ.

3) **სახალხო მატ.** დღის 4 ს. 17 წ. გორში ჩადის 6 ს. 56 წ., მიხაილოვში 8 ს. 29 წ., რიონში 12 ს. 46 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 23 წ.

4) **ტვირთული მატ.** № 107, მეოთხ. კლასით, გადის საღ. 9 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 1 ს. 20 წ., მიხაილოვში ღამე 3 ს. 43 წ., რიონში დილ. 9 ს. 48 წ., ბათუმში დილ. 5 ს. 6 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო N 6. I—II. კლ. გადის დღის 2 ს. 56 წ., განჯაში ჩადის 8 ს. 59 წ., ბალაჯარაში 6 ს. 38 წ., ბაქოში დილ. 7 ს. 15 წ.

2) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. დილ. 1 ს. 38 წ., განჯაში 5 ს. 39 წ., ბაქოში I ს. 44 წ.

1 3) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. გადის 8 ს. 40 წ. დილ., განჯაში იქნება ნაშუადღ, 1 ს. 44 წ., ბალაჯარაში საღ. 10 ს. 2 წ., ბაქოში საღ. 10 ს. 35 წ.

ტვირთული მატ. N 106, მე-4 კლასით, დილის 4 ს. 17 წ., განჯაში იქნება შუადღ. 12 ს. 28 წ., ბალაჯარაში 3 ს. 35 წ., ბაქოში ღამ. 4 ს. 46 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სახალხო მატარებ. I—III კლ. N 7—8, გადის დილ. 7 ს. 20 წ., ბორჯომში ჩადის შუადღ. 12 ს. 40 წ.

2) სახალხო მატ. № 9—10, I—III კლას. გადის ნაშუადღ. 2 ს. 2 წ. ბორჯომში ჩადის საღ. 7 ს. 30 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:**

1) საფოსტო მატ. N 74—75, I—III კლას. გადის ღამ. 12 ს. 2 წ. ჯულფაში ჩადის ღამ. 11 ს. 48 წ.

2) სამგზავრო და საქონლ. N 78—79, II—III კლ. გადის ნაშუადღ. 4 ს. 50 წუთ. ერევანში ჩადის დილის 10 ს. 12 წ.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** ჩქარი მატარ. პლატსკ. N 1 I—III კლ. საღ. 9 ს. 26 წ. სამგზავრო N 5. I—III კლ. დღ. 3 ს. 27 წ. საფოსტო N 3. I—III კლ. დილ. 8 ს. 54 წ., ნარევი N 107. მე-4 კლასით საღ. 8 ს. 7 წ.

**ბათუმიდან:** სამგზავრო N 6, I—III კლ. ნაშ ადღ. 1 ს. 56 წ., საფოსტო N 4, საღ. 10 ს. 42 წ., ჩქარი N 2, დილ. 7 ს. 54 წ. ნარევი მე-4 კლასით N 106, დილ. 3 ს. 19 წ.

**ჯულფიდან:** საფ. N 72—73, დილ. 6 ს. 40 წ., სამგზავრო და საქ. N 80—81, II—III კლ. შუადღ. 12 ს. 28 წ.

**ერევნიდან:** სახალ. შუადღ. 12 ს. 28 წ

**ბორჯომიდან:** სამგზავრო N 7—8, დილ. 6 ს. 20 წ., სამგზ. N 9—10, საღ. 8 ს. 30 წ

**ქუთაისიდან გადის:**

ტფილისისაკენ: სახალხო 5 ს. 15 წ. დილით., საფოსტო 2 ს. 3 წ. დღით. ჩქარი 1 ს. 00 წ. ღამით.

ბათუმისაკენ: სახალხო 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ. ღამით.

ფოთისაკენ: სახალ. 1 ს. 00 წ. ღამ. საფოსტო 6 ს. 52 წ. საღ., ჩქარი 5 ს. 15 წ, ღამ., სახალხო 4 ს. 22 წ. დღით.

შორაპნისაკენ: სახ. 5 ს. 6 წ. საღამ.

ტყიბულისაკენ: სახ. 3 ს. 28 წ. დღით. სახ.-საქ. 7 ს. 50 წ. დილით.

**ქუთაისს მოდის:**

ტფილისიდან: სახ. 2 ს. 25 წ. ღამ., საფ, 8 ს. 20 წ. საღ., ჩქარი 7 ს. 14 წ. დილით.

ბათუმიდან: სახ. 7 ს. 14 წ. დილ., საფ. 3 ს. 25 წ. დღ., ჩქარი 2 ს. 25 წ.

ფოთიდან: სახალ. 7 ს. 14 წ. დღ., საფ- 3 ს. 25 წ. დღ., სახ. 10 ს. 21 წ. დილით

შორაპნიდან: სახალხო 9 ს. 49 წ. დილ.

ტყიბულიდან: სახ. 11 ს. 12 წ. დილით. სახალხო-საქ. 6 ს. 46 წ. საღამოს.

**ტფილისიდან მცხეთაში:**

სახალხო მატ. N 77, I—III კლ. გადის ნაშუადღ. 2 ს. 43 წ., მცხეთაში მიდის საშ, 3 ს. 26 წ.

სახ. მატ. № 77, I—III კლ. გადის დილ. 8 ს., მცხეთაში მიდის დილის 8 ს. 43 წ.

**მცხეთიდან ტფილისში:**

სახ. მატ. N 76, I—III კლ. გამოდის 12 ს. 11 წ., ტფილ. ჩამოდის 12 ს. 50 წ., სახალხო მატარ. N 76, გამოდის საღ. 6 ს. 51 წ. ტფილისში მოდის საღ. 7 ს. 30 წ.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომლებიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6, ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

2) 15 მაისიდან შეიძლება პირდაპირ გადაუჯდომლად მგზავრობა ტფილის-ბაქოვისლავოდსკამდე, საერთაშორისო-სამილო ვაგონებით და ამიერ-კავკასიის NN 1—2, კავკავის გზის N 5—6.

3) 1) მაისიდან მიმოდიან ბაკურიანის ლიანდაგზე სამგზავრო № 76—77, მცხეთისა სააგარაკო № 76, 77, 76a, 77a.

4) ტვირთული სახალხო მატ. მე-IV კლ, N 106 და 107, ბაქოსა და ბათუმს შუა სადგურების მიხედვით ივლის.

## ვინ როდის იღებს მთხოვნელებს

**ნამესტნიკი** ხუთშაბათობით მთხოვნელებს იღებს 2 ნახევარ საათიდან, სასახლეში, ხოლო მოხელეებს შაბათობით 2 საათიდან.

**ნამესტნიკის თანაშემწე სამხედრო ნაწილისა** ხამშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე თავის ბინაზე: ბარიატინსკის ქუჩა სახაზ. სახლ.

**ნამესტნიკის თანაშემწე სამოქალაქო საქმეებში** ოთხშაბათობით 2—3 საათ. მოხელეებს იღებს, ხოლო 3 ს. -ზე მთხოვნელებს ნამესტნიკის კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8).

**ეგზარხოსი**—ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 10—2 ნახევარ საათამდე საკუთარ ბინაზე (ეგზარხოსის მოედანი).

**ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი**—ორშაბათობით ნაშუადღევს 2 საათ. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 8)

**კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი**—ორშაბათობითა და პარასკეობით დილის 10—11 საათამდე, შტაბის შენობაში (სასახლის ქუჩაზე).

**ქ. ტფილისის და მის მაზრის დროებით გენერალ-გუბერნატორი** ოთხშაბათობითა და შაბათობით დილ. 11—2 საათამდე. კანცელარიაში (პეტრე დიდის ქუჩა N 19).

**ტფილისის გუბერნატორი** — ყოველ დღე ნაშუადღევს 1—3 საათამდე, კანცელარიაში (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქუჩ. კიდში).

**კავკასიის მიწადმოქმედებისა და მიწად მოწყობის მთავარი რწმუნებული**—ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით ნაშუადღ. 10—1 ნახევარ საათ. კანცელარიაში (სერგიევის ქუჩ. N 9).

**კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი** ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათამდე კანცელარიაში (ანასტასიევის ქუჩაზე).


# განცხადებანი

## დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. ნ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საშვილო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბეჟიტიაშვილი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

**ბ. გ. ავახაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი:** 6—6 ს. საშვ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გიევსკაია-ენგელი:** 6—6½ საშვილო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606 წამლობა,** **კონსულტატიურად.**

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. (1168—99)

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

# იყიდება შემდეგი წიგნები:

| | |
|---|---|
| თხ. არჩ. ჯორჯაძისა: | წ. 1-ლი „ეროვნულ პრობლემის გარშემო", ფ. 75 კ. |
| " " | წ. 2-ე „ჩვენი საზოგადოებრიობა" ფ. 80 კ. |
| Bäton-ისა: | „ერი და კაცობრიობა განხილ. სოციოლოგიური მხრით" ფ. 1 მ. 20 კ. |
| ვ. ყიფიანისა: | «სამეგრელოს მთავარი ლევან», 4 მოქმ. დრამა ფ. 40 კ. |
| შიუკაშვილისა: | «მეგობრობა», 4 მოქმ. დრ. ფ. 30 კ. |

# შემთხვევით იყიდება ნახმარი როიალი.

იაროსლავის ქ., სახლი ელიზბაროვისა **№ 10.** (2—1427 2

სალიანის თევზით მრეწველ და მოვაჭრეთ

# ძმ. ძეგველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

# ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

# ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაიხუნი ხიზილალა

გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1053—)




რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.